



La Géorgie

Indépendante

Revue mensuelle

M A I

1934—N° 101

მათხო

1934 წ.

№ 101

# დავით აღმაშენებლის

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს   ბ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი   პ ა რ ტ ი ე მ ი ს   ო რ გ ა ნ ო .

2 6   მ ა ი ს ი

მძიმე და ძნელია უცხო უღლის ქვეშ მყოფ ერის შვილების ბედი, მით უმეტეს როცა მხაგრელი ისეთი უნდო და ველურია, როგორც დღევანდელი საქართველოს მპყრობელნი არიან. მძიმე და ძნელია ყოფა არა მარტო იმათი, ვინც იქ უშუალოდ განიცდიან ჩავგრას, დევნას, შიმშილსა და წყურვილს, არამედ აგრეთვე ჩვენიც, გადმოსვენების. მართალია ჩვენ არც ფიზიკური დევნა და არც შიმშილ-წყურვილით სიკვდილი გვემუქრება, მაგრამ ზნეობრივად, სულიერი მდგომარეობით ჩვენ ხშირად «იქაურებზე» უარესად ვართ, უფრო ტანჯული და უფრო დასჯილი. ჩვენთვისა და მათთვის ერთნაირის სიხანტით მიიკლაკნება დრო, უფერული, უსიხარულო დღეები ერთიმეორეს ფეხის თრევით სცვლიან...

მაგრამ არის ერთი დღე, ყველა შეგნებულ ქართველისთვის სხვა დღეებიდან გამორჩეული, მას «ბნელი არ ახლავს», ის ნათელით მოფენილია, მოკაშკაშე, ყოველივე ღრუბელის, დარდის, ნადველის, ჭმუნვის, უიმედობის გამფანტავი და უკუ მქცეველი. ეს არის 26 მაისი.

ეს ჯადოსანი დღე თვითვე ჩვენგანს, იქაც და აქაც, ამოავდებს ხოლმე ყოველდღიურ ჭაბანწყვეტის უფერულ და ულაზათო კალაპოტიდან, მოსწყვეტს წვრილმან პიროვნულ ჭირვარამს და აზიარებს ერის კოლექტიურ სულს, მის მარადიულობას, უკვდავებას.

ის გვიქარვებს ჭმუნვასა და უიმედობას, სულიერ სისუსტეს და სასოწარკვეთილებას, რადგან არის ლამპარი, ჩვენი მომავალის მანათობელი, ქართველი ერის ისტორიული გზების მამუქებელი, სასიხარულო პერსპექტივების მამხილებელი.

ასე გვამაღლებს, გვასპეტაკებს და გვამაგრებს 26 მაისი! ვინაიდან ეს დიადი თარიღი არის თავდები და მომასწავებელი ქართველი ერის მკვდრეთით აღდგომისა, მისი სხეულის გამრთელების და გაჯანსაღების, მისი გაპნეული და ერთი მეორისაგან გამდგარი შვილების ერთად თავის მოყრის, გაერთიანების, ერთი და ურყევი ეროვნული სულით, ნებით და შეგნებით აღჭურვის, და ასე, თანამედროვე ერის ყვე-

ლა ატრიბუტებით შეიარაღებული საქართველოს კვლავ დაბრუნების საკუთარი ისტორიულ გზაზე, ახალ პირობებში და ახალი გეზით.

26 მაისმა გამოაჩინა საქვეყნოდ და აამუშავა ეს დიადი თვისებები, რომელნიც ერს უძლევებდა, უკვდავად ხდიან. და თუ მისი მოქმედება, მისი მუშაობა შეწყვეტილ იქნა, თუ უხეშ ფიზიკურმა ძალამ მას დროებით დაახევია, სული მისი იმდენად ძლიერია, რომ ტყვეობაშიაც წარუხოცელ კვალს აჩენს ერის ცხოვრებას და განუწყვეტილვ ხელმძღვანელობს მისკენ მისწრაფებულ ხალხს. მის გავლენას მტერიც განიცდის და იძულებულია მას დათმობები გაუქეთოს...

ჯერ კიდევ მრავალი დაბრკოლება ეღობება წინ ჩაგრულ ერთა საბოლოო განთავისუფლებას. მაგრამ გაჭქრა ის დრო, როცა შეიძლებოდა ერის მოსპობა, მისი დედამიწის ზურგიდან აღგვა. ხოლო 26 მაისი საქართველოს სული და ხორცია, მაშასადამე მასავით უძლეველია. მისი ცხოვრებაში კვლავ შთანერგვა მხოლოდ დროის და პირობების საკითხია. ჩვენი თვალის წინ დაინგრა და დაიღუწა დიდი იმპერიები და მათ ნანგრევებზე აღორძინდა მრავალი ეროვნული სახელმწიფო. რუსეთის იმპერიის საბოლოოდ დაინგრევაც ისტორიის დღისწესრიგშია...

ჩვენს ყოველ-დღიურს, წვრილმან და პირადულ ჭირვარამს თუ მივეცი თავი, მოთმინებას ადვილად დავკარგავთ, უიმედობაც ადვილად ავციტანს. მაგრამ თუ შევძელით 26 მაისის სიმალეზე დადგომა და იქ შერჩენა, მაშინ ჩვენც მტკიცე და გაუტეხელი ვიქნებით.

26 მაისის ერთგულება ინახავს ქართველ მებრძოლ ხალხს, აერთიანებს მას, არიდებს შინაური ქიშპობის და დაქსაქსულობის გზას. აი, ამ მაგალითისაკენ მოუწოდებთ ქართველობას უცხოეთშიაც.

ჩვენ მსურვალეთ მიულოცავთ მას საქართველოს ბრწყინვალე დღესასწაულს და ვუსურვებთ მის სიმალეზე დადგომას, მისი სიდიადით გამსჭვალვას, საქმის მაწნე ყოველივე ქიშპობისა და დაქსაქსულობის უკუგდებას და მებრძოლ საქართველოსაებრ ერთად დარაზმვას 26 მაისის დროშის ქვეშ.

გ ა მ ა რ ჯ ო ბ ა

ერთმა უცხოელმა პოლიგლოტმა, რომელიც ქართველებს ხვდებოდა, იკითხა რაა გამარჯობა: გაგიმარჯოსო, და, როცა აუხსნეს, გაიფიქრა გასაგონათ: victoria, vittoria, victoire, victory, Sieg და სიტვა— არა, ასეთი მისალმება მართო ქართველებს უნდა გქონდესთო. მე არ ვიცი, რამდენათ მართალია უცხოელი, აღმოსავლეთის ენები მან არ უნდა იცოდეს, არც ლინგვისტია ამისათვის.

მე კიდევ უფრო ნაკლებ ვიცი, და ამიტომ უფრო გამბედავიც ვარ! ვსტყვით, ვცდები, მაგრამ ის ხომ უტყუარია, რომ ქართველები უხსოვარ დროიდან ასე მიესალმებიან ერთმანეთს, იმეორებენ ათასჯერ და მილიონჯერ ერთსა და იმავეს, არ იღლებიან და მაინც გაიძახიან: გამარჯობა! გაგიმარჯოს!

რაა ამ სიტყვებში, თუ არა ის, რომ ქართველისთვის წარმოუდგენელია უფრო დიდი ჯილდო, აღმატება, ნატურა, ოცნება, ვინემ გამარჯვება? მე შემიძლია ვსტყვა, რომ ქართველს ზოგჯერ არც კი სურს იქნება გამარჯვება იმის, ვისაც ამ სიტყვით ესალმება, მაგრამ ხომ ვერ დაეწამებთ მას, რომ საკუთარი გამარჯვება არ სურდეს? აქედან, როცა ის წამოიძახებს გამარჯობას, უთუოთ ელის გაგიმარჯოს, ეს ხომ დალოცვაა მისთვის, ნატურა, ოცნება?

მე არც სიმბოლიურ რამეს ვხედავ ამ მისალმებაში, ის აღმოხეტის სინამდვილიდან, ქართველი ერის დრამიდან, დიას, დრამიდან, და მაჩვენებელი იმის, რომ ერს თავის ისტორიულ სრბოლაში უფრო ბევრი დამარცხება განუცდია, ვინემ გამარჯვება! განა ამიტომ არ ნატრობს, არ ოცნებობს ქართველი მთაში თუ ბარში, შინ თუ გზაში, ომში თუ გუთანზე გამარჯვებაზე? განა ამიტომ არაა, რომ ქართველს არ სწეინდება წამდაუწუმ, ავტომატიურათ გაიძახოს გამარჯობა-გაგიმარჯოს? ისე ავტომატიურათ, რომ ლამის დაგვიწყნოდეს ამ სიტყვების ახტი, შინაარსი! ვუთხრებთ ერთმანეთს გამარჯობა-გაგიმარჯოს და ლამის შევეჩვიეთ, შევეჩვიდით დამარცხებას...

26 მაისი და ასეთი ფიქრები!— წამოიძახებს უკმაყოფილო მკითხველი. მართალია ის, მაგრამ მეც მართალი ვარ! მკითხველს ავიწყდება, სადა ვწერ ამას — ემიგრაციაში, სამშობლს მიწა-წყალს მოწყვეტილი, თავისუფალ და ლალ საფრანგეთში. განა შენ, მკითხველო, არ გიღრნის სულსა და გულს შედარება, არ გიფრთხობს ძილს, არ გიპყრობს შური?

რაა დამაზახსიათებელი თავისუფალ ერისა? ისა, რომ, როცა სამშობლოს რამე განსაცდელი მოადგება კარზე, მისი შვილნი ივიწყებენ შინაურ დავიდარებას და ჰკრავენ სამღვთო კავშირს გარეშე მტრის წინააღმდეგ. განა ცოტაა მაგალითები დღესაც კი, ე. ი. მშვიდობიანობის დროს, სადაც მემარჯვენეს ვერ არჩევ მემარცხენესაგან, ლიბერალს სოციალისტისაგან? როგორია ამ მხრივ მდგომარეობა ჩვენს ემიგრაციაში? ეს კითხვა პასუხსაც გულისხმობს, არ ღირს შეჩერება...

მაშასადამე, კი ყოფილა რაღაც, რაც ცუდ გუნებაზე გვაყენებს, ჩვენ შეგვიძლია გავიძახოთ გამარჯობაო, თუმცა ვიცით, რომ ნამდვილათ დამარცხ-

ებული, დაშლილი ვართ! სავალალო კიდევ ისაა, რომ ჩვენ არ გვირდა თვით ჩვენი ერის მაგალითი ავიღოთ. ვინ არჩევს იქ ეხლა სოციალისტს, ლიბერალს, კონსერვატორს? არის მხოლოდ ორი ცნება: ქართველი, რუსი— აი ვინაა დღეს იქ დაპირდაპირებული, ვინ ებრძვის ერთმანეთს. კერძო ცხოვრებაში შეიძლება იქაც ეუბნება ქართველი რუსს გამარჯობას, შეიძლება იძულებულიცაა ასე მოიქცეს, ატავიზმიც თავისას შვრება, როცა ფორმა შინაარსის ადგილს იკერს, მაგრამ განა წარმოსადგენია პოლიტიკურათ, ეროვნულათ, მორალურათ. ქართველმა რომ რუსს გამარჯვება უსურვოს? ეგ ხომ იქაც დამარცხება იქნებოდა, ხალასი დამარცხება!

ერი იბრძვის, ერი ვანაგრძობს ბრძოლას— მაშასადამე, ქართველი მხოლოდ დამარცხებას უსურვებს რუსს, და ეს ისე ბუნებრივია, როგორც მომხდომს ხმალი ხელიდან გამოვლიჯო და მასვე მოუქნიო. მტერი, მართალია, ბოლშევიკად, რევოლუციონერად გვევლინება, მაგრამ ვინ არ იცის, რომ ეგ მხოლოდ ხერხია, საომარი ხერხი? განა თვით ქართველებშიც არიან პარტიები, თვითეული თავის წრეში მუშაობს, ჰყავს მომხრენი, მაგრამ ყველა მათ ჩვენ ვუწოდებთ ეროვნულ პარტიებს, რას ნიშნავს ეს? იმას, რომ პარტია მხოლოდ საშუალებაა, არასდროს მიზანი, ამიტომ ის ერის სამსახურშია და არა ერი მის სამსახურში.

მაშასადამე, ვისაც მტერზე გამარჯვება სურს, მან უწინარეს ყოვლისა თავის თავზე უნდა გაიმარჯოს. ესეც ისე გასაგებია, როგორც ორჯერ ორი ოთხია, თუმცა, საუბედუროთ, ზოგიერთს დღესაც რაღაც დიდ სიბრძნედ ეჩვენება. თუ ჩვენ იმდენათ ჩამოვრჩით დროს, იმდენათ დავკარგეთ რეალობის ყნოსვა, არ გვესმის რა ხდება შინ და ვანვაგრძობთ ჩვენს პიროვნულს ან პარტიულს ვანაცვლოთ ეროვნული, ვერ დავძლიეთ ინდივიდუალური და ჯგუფური ჟინი, ვერ გავიმარჯვეთ მასზე, — მაშინ რა გაეწყობა, ერი, ქართველი დედა მოგვლევს თავის გულიდან უგუნურ შვილებს, უცხოეთში გაფანტულთ.

უნდა გამოვტყდე, კიდევ ახალაზნობიდან, როცა დამოუკიდებლობა სიხმარშიც არ გვეზმანებოდა, მე მაშინებდა, არ მასვენებდა არა მტრის სილიერე, არამედ ქართველთა ოჯახური შუღლი, შეურთიკებლობა. ჩვენმა წარსულმა ერთი ქვემაროტება მაინც დაგვიტოვა, ვიტყვი— აქსიომა: რაც უნდა ძლიერი იყოს მტერი, რაც უნდა მდევად არ გვეჩვენებოდეს ის, მასაც დაუდგება უთუოთ ადრე თუ გვიან განსაცდელის უბი, რასაც მოხდენილათ გამოიყენებს ჩვენი ერი, თუ ის ერთია, ვითა გრდემლი.

ჩვენ ვეძახით ერს ცოცხალ ორგანიზმს, მაგრამ ეგ ხომ უბრალო მეტაფორაა, ნამდვილათ კი თვითეული ჩვენგანი უნდა ატარებდეს მას ასეთად თავის გულში, გონებაში. ეს ასეა იქ, სამშობლოში, ამიტომ ამ 26 მაისს ჩვენ მას შევძახებთ გამარჯვებას იმ იმედით, რომ მისი «გაგიმარჯოს» დარაზმავს და გაამრთლებს ჩვენს რიგებს აქ.

ანჩინ.



უ კ ვ ღ ა ვ ი მ ც ნ ე ბ ა

ხშირათ ისმის საყვედური იმისა გამო, რომ ქართულ ემიგრაციას ჯერ კიდევ ვერ შეუვსნია შესაფერისად ვერც თავისი მდგომარეობა და ვერც მიზანი და დანიშნულება, ანუ—ფიგურალურად რომ ვთქვათ—ის ისტორიული მისხნია, რაცა მას წილადა ჰხვდა იმ დღიდან, როდესაც მან ტყვედქმნილ საქართველოს საზღვარს გადმოაბიჯა.

სამშობლოს გარეშე მყოფთავან შესდგა უცნაური რამ ერთეული, რომლის წევრები ასევე უცნაურ და უხილავ ძაფებით ერთმანეთთან გადაბმულაირან, ზოგჯერ თავის სურვილის წინააღმდეგაც! ასეთი არის კანონი სოციალურ ფსიქოლოგიისა! უპირობოთა და, ასე ვთქვათ, უკონსტიტუციოთ ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი სხეული, ემიგრაციათ წოდებული.

რა არის ემიგრაცია? ჩვეულებრივად ამ სახელწოდებით აღინიშნება მცხოვრებთა განსაზღვრულ კათეგორიის მასსიური განსვლა სამშობლოდან. ხოლო იმისდამიხედვით, თუ რა მიზეზები ჰქმნიან ამ მოვლენას. იცნობება ემიგრაციის სახეცა და მისი უმთავრესი დანიშნულება. აქ სახეში მიღებული არის, როგორც ეს ისედაც მისახვედრია, ემიგრაცია პოლიტიკური, როცა საკუთარ მიწა-წყლიდან აყრა და უცხო ქვეყნებში გარდახვეწა არის შედეგი: 1) სახელმწიფოში, ანუ რომელიმე მის მსგავს ორგანიზაციაში მომხდარ სოციალ-პოლიტიკურ გადატრიალებისა, ანუ ყოველს შემთხვევაში ძირითად ცვლილებებისა, და 2) თვით სახელმწიფოს სუვერენულ ფუნქციების გაუქმებისა უცხოთა ძალმომრეობისა გამო.

ამ ორი სახის ემიგრაციის შორის დიდი განსხვავება არსებობს და ეს თავისთავადაც საგულისხმოა: პირველი უკმაყოფილო არის სამშობლოში შექმნილ ახალ პირობებისა გამო, ანუ სხვა სიტყვებით, ის იბრძვის იმისათვის, რომ სახელმწიფოს სათავეში მოქცეულ ახალ სოციალურ ელემენტს ჩამოართვას საუკუნე ხელისუფლებისა. ეს არის სამოქალაქო ომის ერთერთი ვარიანტი. ჩვენ აქ საქმე გვაქვს მცხოვრებთა შინაურ ბრძოლასთან სოციალ ცხოვრების სხვა და სხვა ფორმებისათვის. სხვანი აქ არ ერევიან, არც საერთაშორისო უფლების ორგანოები ეხმაურებიან, თვინიერ ისეთი შემთხვევებისა, როცა ინტერვენცია აუცილებელი ხდება საერთაშორისო მყუდროებისა და მშვიდობიანობის დასაცავათ.

სულ სხვა არის ემიგრაცია, სახელმწიფოს უცხო ძალის მიერ დაპყრობით გამოწვეული. საკითხი აქ უკვე სცილდება «შინაყმობას», რადგანაც ემიგრანტობის ფაქტი საგარეო მოვლენით არის წარმოშობილი და ამიტომ განთავისუფლებისათვის ბრძოლა უმეტესად საგარეო ურთიერთობაშივე დაეძებს დასაყრდნობ ძალას. მაშასადამე მეთოდებითაცა და მთელს შინაარსითაც მეორე სახის ემიგრაცია წარმოადგენს სრულებით განცალკევებულ მოვლენას: მას არაფერი აქვს საერთო პირველთან, გარდა იმი-

სა, რომ ერთისაც და მეორის «პერსონაჟებს» უცხო ქვეყნებში უხდებთ ცხოვრება!

ვინა ვართ ჩვენ.—ეს მრავალრიცხოვანი ქართული ემიგრაცია? სად უნდა ვეძიოთ ჩვენ სათავე საქართველოს განთავისუფლების ბრძოლისა? რაზე ეყრდნობა ჩვენი პოლიტიკური მოქმედება? ვის ვებრძვით? წესწყობილებას? ახალ ფორმაციის ხელისუფლებას? მცხოვრებთა განსაზღვრული წრის პრივილეგიების აღდგენას იქნებ ისახავს მიზნათ ჩვენი ბრძოლა? ან ებრვე სხვა ემოციებით არის ეგებ ასულდგმულებული?..

ერთადერთია მიზეზიცა და საგანიც, რომელთაც წარმოშვეს ქართული ემიგრაცია და «კათეგორიულ იმპერატივად» აღმართეს საქართველოს უღრან მთა-ტყეთაშინა პატრიოტულ მეგობრთა რაზმები. ქართული ემიგრაცია შეიქმნა საქართველოს ნანგრევებზე და ამის გარეშე ვერ გამოჰხანავთ გარემობას, რომელიც საკუთარ კერიდან ხალხთა აყრის ასეთ განუკითხავ მიზეზად აჩენილიყო!

ემიგრაციის «ეთიოლოგიიდან» გამომდინარეობს მისი არსებითი დანიშნულებაცა და მთელი წყება მის მრავალგვარ მოქმედებათა, რომელნიც დაბოლოს პოლიტიკურ ბრძოლის ფორმებათ ყალიბდებიან. მიზანი კი, რა თქმა უნდა, ერთი და იგივე რჩება, ესე იგი, ცდა ნორმალ პირობების დაბრუნებისა, ანუ კონკრეტულად ჩვენთვის: შემოსეული მტრის განდევნა და სახელმწიფოთ თვითმყოფობის აღდგენა.

მაშასადამე ამოცნობილი თურმე ყოფილა მიზანი, რომლის განაარსებისაკენ მიილტვის: ქართული ემიგრაცია და იქ კი—სამშობლოში—მთელი ერთ უკლებლივად. ამ მიზნის მიხვევას ხელს უშლის საოკუპაციო ძალისუფლება და არ სწორით ამის აღსაგველათ საკურო სდება ყველა ძალეების კონსოლიდაცია! სულ სხვა საკითხია, შევძლებთ, თუ არა ოკუპაციის დაძლევის საკუთარ ძალებზე დაყრდნობით: ვიცით, რომ ჩვენი ერის ბრძოლას არა ერთიდაორი დაბრკოლება ელოდება წინ, ხოლო არ უნდა ვივიწყებდეთ იმასაც, რომ ბრძოლის პროცესში ხანთა სვლაში ჩნდებიან ზოგიერთი ისეთი გარემობანიც, რომელთა ჯეროვანათა და დროზე გამოყენება უსათუოდ შეამსუბუქებენ ჩვენი გახანგრძლივებულ მძიმე ბრძოლას კომუნისტური რუსეთის წინააღმდეგე.. წინამდგომ. ჯერეთ გამოუცნობელ მოვლენებს უნდა დაჰხვდეს საქართველო იქ და მისი ემიგრაცია აქ ერთობლივათ ამოქმედებული, ორგანიზაციულათ შემოკტიცებული, ერთი მცნების ირგვლივ შემოკრებილი, ერთი ნების მსახური და აღმსრულებელი.

ამ სტრიქონების ჩაკითხვანე ზოგმა შეიძლება თავიც ჩაიქნოს: ეპ, ინგილო ვერ იქნადავერ გამოეშვა ძველ ლათაიებს! მომდგარა და უნიჰო სუცესივით ერთი და იგივე ქადავებით გვაყრუებს! გვაშორე, თუძმახარ, ერთობა! ვაივთ, რომ ეს მენშევიკების ჰეგემონიის დაბრუნებას უდრის!.. მართალია, დროდადრო მიხდება ტრაფარეტულ ჰანგრების კიდევ ხე-

ლანლა გამომჩვეურება, ისიც მართალია, რომ სახარების კითხვასაც არ ვერიდები მგლის თავზე, გარნა ჯერ კიდევ მთლად არაწამბრთმეგია იმედი ზოგთა მომინაურებაზე! ერთის თქმა შემძლიან ყოველს შემთხვევაში, რომ ცუდი დრო ამ მხრივ უკვე განვლილად ჩასათვლეღია...

აქ მე განგებ ვახსენე მენშევიკები: ემიგრაციის ერთი ნაწილის გამოცემებში ხშირათ იწერება ამ ხალხზე, მაგრამ დღევანდლამდის ამ ნაწერთა უმეტესობაში წრესვადასულ დემაგოგიას უფრო წააწყდები, ვიდრე საღსა და სასარგებლო კრიტიკას. თუ პოლემიკა ლიტერატურის დარგია, მას უნდა საგანთა და მოვლენათა პირუთენელი შეფასება მოეთხოვებოდეს. მაგრამ ნურაინ გაიფიქროს, თითქოს მე მხოლოდ იმის ზრუნვაში ვიყო, რომ ყოფილი მმართველი პარტია უცთომელ პაპად მოვაჩვენო ვისმეს. ამ ეპიზოდს შევეხე ერთის ჰაზრით, რომ ცხადმყოფ ქართულ ზოგიერთ ჯგუფის პოლიტიკური აბერაცია; ამით ერთგვარად მქლავნდება მათი მეთოდოლოგიური ნახტომებიც. აბა, მამ, ჩავუკვირდეთ სერიოზულად ჩვენი ემიგრაციის არსებას, და დავინახავთ, რომ არც მისი წარმოშობა, არც მისი დანიშნულება და არც საქართველოს ვითარება არ უნდა აძლევდეს ემიგრაციის რომელიმე ნაწილს საბაბს გაუადვილოს მტრის წისქვილს ჩარხის ტრიალი. ის, რასაც ჩვენი «ოპოზიცია» სჩადის, მეთოდოლოგიურად იგივეა, რაც რუსულ ემიგრაციაში ხდება, იმ განსხვავებით, რომ რუსებში მათ ალიაქოთურ პოლემიკას ერთნაირი საფუძველი მაინც აქვს, ჩვენს წრეში გადმოღებული კი სრულებით უპაზროა და, თუ გნებავთ, მაგნებელიც, და აი რატომ: რუსების სამშობლოდ არავის მიუძღლავრებათ, იქ ადგილი ჰქონდა გადატრიალებას, სოციალ-პოლიტიკურ რევოლუციას; იქ ერთი პოლიტიკური წრის ბატონობა მეორე წრის ბატონობამ შესცვალა, მორჩა და გათავდა... ქართული «ოპოზიცია» წამოეგო მეორე რუსულ ანკესზედაც; ბოლშევიკებმა მენშევიკები დაამარცხეს, ასე ესმით მათ და მათ ამყოლთ ჩვენი უახლოესი წარსული; ერთ ქართველ პუბლიცისტსაც ასე წამოსცდა: მუხლმაგარ სოციალდემოკრატებმა მუხლსუსტი სოციალდემოკრატები წამოსარმეს... მახლას! სწორეთ ამნაირი კვალიფიკაცია მისცა მოსკოვმაც მის მიერ საქართველოს აკლებას: ქართველ მუშებმა და გლეხებმა მენშევიკები გარეკეს და ბოლშევიკები მოიხმეს! ასე იცის ჯგუფურ ზრახვებითა და იაფფასიან პოლემიკით გატაცებამ: ანტიპოდები შეაუღლა და სისხლით დაცილილ საქართველოს გუშავს—წმიდა გიორგის—კრემლში შემხადებული წუთმე მიახმეგინა...

რუსეთის ემიგრანტები ერთმანეთს ქვითა ჰქოლავენ და ეს მათი შინაური საქმეა: რა საერთო გვაქვს ჩვენ იმასთან, რომ კომუნისტების მოსალოდნელ მემკვიდრეობის დაჩემება ჰსურთ ერთსა და იმავე დროს მრავალ პრეტენდენტებს?! რა უნდა მოაგებიონ ჩვენ საქმეს იმ ფაქტმა, რომ რუსულ ორთავიან არწივს ჰკვიჯგინან თვით მონარქისტები, მონარქის-

ტებს ებრძვის მილიუტოვი, მას მუშტებს უქნევს კიაზიმ-ბეკი, კენესითა და ოხვრით ფაგოტისებრ გამოუტყვევლ ხმებს უშვებს მათ შუა გაჩხერილი რუსეთის სოციალდემოკრატია, ყველას კი ზედ ისტერიულად დაჰკივის კერენსკი?! კაი მისაბაძი მაგალითია, ღმერთმანი!!!

ქართველი ანტიბოლშევიკური ძალები სწორეთ იმითი განვირჩევით ამგვარ რუსულ ელემენტებისაგან, რომ ჩვენ გადასაჭრელი არა გვაქვს წესწყობილების საკითხი. ეს დებულება ისე კი არ უნდა იქმნას მიღებული, თითქოს საქართველოში უმწიკველო რეჟიმი სუფევდა და ყოველისფერი რიგზე და წესზე იყო აგებული! ჩემის აზრით, დამოუკიდებლობა რომ შეგვრჩენოდა, ამ ხნობამდის ბევრი ცვლილება იქნებოდა შეტანილი სახელმწიფურ სტრუქტურაში.

საქართველო დაპყრობილია სხვათაგან. იქ ბატონობს მოსული, უცხო ძალა. ქართველი ემიგრაცია ქართველ მოსახლეობასთან ერთად იბრძვის შეურიგებლად შემოსეული მტრის მოსაცილებლათ, ამიტომ არის მისთვის სავალდებულო ერთი დროის ქვეშ დგომა!

ეს დრომა გვფარავს ყველას. მასზე შეფიცული არის მთელი საქართველო. ჩვენი ჩირაღდანია ეს ბაირადი, ამ უკუღმართ დროშიც რომ გზას გვისხივოსნებს და გვიადვილებს. გზაც ერთია. მას მისდევს მთელი ხალხი. ადვილი საცნობია ეს გზა. თავგანწირულთა სისხლის ზოლი თანა სდევს მას. სათავე მას აწითლებულ მეტეხში უდევს: გახსოვთ პოეტისა? «მყის მეტეხიდან სისხლს აწვიდიან ნორჩსა და ცხელსა, და სოღანლულში მიდის მტკვარი ოქროისანი...»

საით მიიმართება ეს ბილიკი? რა არის ის ძალა, რომელიც ალტაცებულ ხალხს მიეზიდება?..

რატომ არ იხვევს უკან ჭირგამოვლილი? რატომ არ შეისვენებს გულამომჯდარი?

ვერ დაიყოვნებს, ვერც დაისვენებს! მიჰქრის წინ, რათა პირველთა შორის ამბორჰყოს წმიდა დროში, თეთრ რაშზე მჯდომ რაინდს რომ უმაგრია ხელში კალთებაცყრილი: 26 მაისი! თავისუფალი ხალხი თავისუფალ საქართველოში! ეს ღოზუნგი 1918 წელს შემტკიცებული ნებისყოფით ფაქტად იქცა. ხოლო კაცობრიობამ ამ ფაქტში ძველ სამეფოს შეფერხებული ისტორია იხილა, ამიტომ მისი აღორძინება იურიდიულადაც უმემაგრა.

ქამთადენაში «კვლავ შეფერხდა ისტორია». 26 მაისის კომუნისტმა წაშალა: შეიძლება უკვდავი მცნების წაშლა?!

შევემზადნეთ 26 მაისის საღმრესაწაულო შესახვედრათ! ყოველი ქართველი ზიარი უნდა იყოს სამაისო საღმრთო მსახურებისა!

გარნა ვიდრე ეს შესრულდებოდეს, «ჰსდუმენინ ყოველი ხორცი კაცობრივი, და სდებინ შიშით და კრძალულებით...»

რ. ინვილი.



თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს მ ა ი ს ი

1881 წლის 12 სექტემბერს რუსეთის თვითმპყრობელმა ალექსანდრე პირველმა დაადასტურა შემოღებული მეფის პავლე პირველის მანიფესტი, რომელიც ერთი კალმის მოხმით აუქმებდა ქართველი ერის სუვერენობას და დიდი სახელმწიფოებრივ ტრადიციების მქონე ქვეყანას აცხადებდა რუსეთის პროვინციად. მოკავშირედ და მფარველად მოწვეულმა რუსეთმა მოხერხებული დრო-შეუბრძოლა მტრულად განწყობილ მეზობლების გამუდმებულ შემოსევებით მოქანცულ პატარა გამირულ ერს და ზურგიდან ჩასცა მას დალატის შხამით მოწამლული მახვილი. ვითომც და სამოყვროდ შემოსულმა რუსის ჯარმა და მისმა სარდლობამ უტიფარი გადატრიალება მოახდინა წამებულ ქვეყანაში; ხმლითა და ხიშტით მოშალა ქართველი ერის სუვერენული ხელისუფლება, რუს ჯარისკაცის ჩეკმის ქუსლით გასთელა ქართველი ერის ღირსება და პატივი, თავისუფალ ერს მონობის უღელი დაადგა კისერზე და დაამადლა კიდევ:—არა ანგარებით, არამედ შენთვის, შენდა საკეთილდღეოდ გბორკავ მძიმე რკინის ხუნდებში.

მწუხრის ზეწარი გადაეფარა საქართველოს ლაყვარდ ცას. ჩასვენდა მრავალ საუკუნეთა ისტორიის მქონე ქვეყნის თავისუფლების მზე და ჩრდილოეთიდან მონაბერმა სუსხმა მოყინა დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, შოთა რუსთაველის და სხვა დიდ ეროვნულ მოამაგეთა ნაშენი ქვეყანა.

მას შემდეგ ას თუთხმეტმა მაისმა განვლო. მაგრამ საქართველოსთვის მაისი არ მაისობდა. მაისის უხვი და მადლიან ბუნების ნახელავ ათასი ფერის ყვავილებით ამოქარგულ-ამოხატული მიწოდორველი თვალს ახარებდა, მაგრამ ეროვნულ ჩაგვრით დაჩხვლექილ ერის სულს მწარე ტკივილებს ვერ უამებდა.

ას მეთექვსმეტე მაისი დადგა და ამ მაისმა საქართველოსთვისაც იმაისა. ხანგრძლივ ეროვნულ ჩა-

გვრისა და მსოფლიო სისხლიან წვიმების შემდეგ ქართველმა ერმაც იპოვა შესაფერი დრო და მონობის უღელს გაეჭკა.

ეს იყო ეროვნულ თავისუფლების მაისი. ქართველმა ერმა მთელს მსოფლიოს აუწყა თავის გაუტყნელი ნებისყოფა, გამამყლანა თავისი მისწრაფება დამოუკიდებელ, სუვერენულ არსებობისადმი. ქართველმა ხალხმა თავისი ეროვნული «მეს» სრულის შეცნობითა და მტკიცე შეგნებით შეუდგა დანგრეულ ეროვნულ ოჯახის აღდგენას, თავისი მომავლის საკუთარი ძალებით გამოქვედას.

მაგრამ ვე გაგრძელდა მხოლოდ სამი მაისის მანძილზე. პავლე და ალექსანდრეს 116 წლის შემდეგ მოვლინებული მემკვიდრენი აღმოჩნდნენ კიდევ უფრო სასტიკნი და დაუნდობელნი. ერთხელ კიდევ მოხერხა ჩრდილოეთის სუსხმა და ხელახლავ მოწვა თავისუფლების ახალგაშლილი ყლორტი. კვლავ ამუშავდა ხმალი და ხიშტი.

ქართველ ხალხს ერთხელ კიდევ გააყოფიეს თავი ეროვნულ ჩაგვრისა და მონობის უღელში. მეთოთხმეტე წელიწადია, რაც უჩვეულო და უმაგალითო ექსპერიმენტებით წიწკნიან მის ეროვნულ სხეულს; მაგრამ უმაგალითოა ქართველი ერის გამძლეობაც.

მტერმა ვერ გატუნა მისი ნებისყოფა... ვერც გასტუნს!..

ქართველმა ერმა შეუდრეკელ ბრძოლითა და უხვად დაღვრილი სისხლით დაამტკიცა, რომ იგი ღირსია თავისუფლების და კიდევ მოიპოვებს მას.

1918 წლის 26 მაისი ქართველი ერის ახალი ისტორიის დასაწყისია; 26 მაისის დროშა ჩვენი ქვეყნის ეროვნულ მონობიდან განმანთავისუფლებელი ბრძოლის დროშაა.

ეს დროშა გაიმარჯვებს, გაიმარჯვებს საბოლოოდ, სამარადისოდ და საქართველოსთვის მაისი კვლავ იმაისებს.

ბ. არბიე.

რუსული «ჯაკ-ფიდერაციის» 12 წლის თავი

თორმეტი წელიწადი შესრულდა, რაც კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს მოჩვენებითი დამოუკიდებულობაც წაართვეს და თავი, ეგ. წოდებულ, «ზაკფედერაციის» უკრეს. ამ «დიად ეროვნულ თავისუფლების» აქტს მოსკოვის ადგილობრივი ფილიალი—კომუნისტური პრესა—ზევილთ სვებდა და დოინჯ შემოსყრილი ქვეყანას თავისუფლებაზე ეფიცება. თურმე ნუ იტყვიოთ. თავისუფალ კავკასიის რესპუბლიკების იარაღით დაპყრობა, ხალხის განადგურება და მისი ავლადიდების მოსკოვში წაღება ამ ხალხების საკეთილდღეოდ და მათი თანხმობით მომხდარა! მაგრამ ვინ არ იცის, რომ საბჭოთა რუსეთში ქალაქი ყველაფერს იტანს, გარდა თავისუფალი აზრისა.. და რა გასაკვირია, თუ მუხაბეკოვი (ამ კავკასიის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე), თოდრია და ყმანი მათნი, კავკასიის რესპუბლიკების სისხლში ჩახრჩობას და მთელი მხარის მოსკოვის კოლონიად გადაქცევას—«თავისუფლების უადრეს გამოხატულებათ»

სახვენ? ვინ არის კავკასიაში ამანე ხმის ამომღები, პასუხის გამცემი მაშინ, როდესაც თავისუფალი აზრი, მართალი სიტყვა და დამოუკიდებელი განხეთი ჩევის სარდაფშია ჩაკეტილი, ხალხი დაბნული და ბოქლომდებულისა?

მაგრამ კავკასიის საბედნიეროდ, ამ განუტყრეტელ წყვილადს მაინც აპობს ერთგვარი შუქი, რომელიც ნათელს ფენს მოსკოვის გაიძვრობას, მის სითაღლითეს და ორპირობას. ესაა—თავისუფალი აზრი და მკვეთრი სიტყვა კავკასიის სარდაფებიდან ამოვარდნილი, ხალხში მოფენილი, პირიდან-პირში გადაცემული და იმედის მომგვრელი. მისი წყაროა—არაოლეგალური პრესა და ორგანიზაციები—დევნილნი, მაგრამ მაინც არსებულნი, საიდუმლო, მაგრამ საქვეყნოდ გასაგონი. ამას ემატება გათამამებულ მოსკოვის მოხელეთა მამლაყინწობა და ამ კვეხნის დროს წამოცდენილი მართალი ფრაზები.

ასეთივე მამლაყინწობა მოუვიდა გაზ. «კომუ-

ნისტს». თავის სახეიმა ნომერში იგი სწერს: «ზაქფერაციის შექმნის და განმტკიცების საქმეში ბოლშევიკებს დიდი შეურიგებელი ბრძოლა დასჯირდათ იმისთვის, რომ საბოლოოდ გაენადგურებიათ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიები—დაზნაქები, მენშევიკები და მუსავატელები, აგრეთვე იმისთვის, რომ გამომეძღვნებიათ და აღმოეფხვრათ პარტიის (კომპარტია) შიგნი ნაციონალური გადახრები»-ა (იხ. «კომ.» 30 მარტი 1934 წ.). აქ ჩვენ თავს ვინებებთ მოსკოვის ლეკვის ტრაბახს, თუ რამდენად შესძლეს მათ აღნიშნულ რევოლუციონურ პარტიების განადგურება, რის სიყალბე დღესავით ნათელია. მაგრამ აქ საინტერესოა სწორედ მოყვანილ ციტატის ბოლო, სადაც კომპარტიის შიგნით ნაციონალურ გადახრებზეა ლაპარაკი. ეს მართლაც ასე იყო. ამიერ-კავკასიის რუსული «ფედერაციის» შექმნის წინააღმდეგი იყვენ არა მარტო კავკასიის ხალხები და მისი ნაციონალური პარტიები, არამედ თვით მოსკოვის ფულით მოსყიდული ადგილობრივი კომუნისტებიც. ეს ის კომუნისტები გახლდათ, რომლებიც რუსის ჯარის შემოუძღვენ კავკასიაში, დარწმუნებული, რომ მოსკოვი მათ დასევამდა კავკასიის ტახტზე და თითონ მხოლოდ მათი მოახლის რაოდენ დაკმაყოფილებდა. ეს გულუბრყვილო ცაცუნები მალე დარწმუნდნენ მწარე სინამდვილეში. მოსკოვისათვის სრულიადაც არ იყო ხელსაყრელი საქმე ქონოდა ცალკე რესპუბლიკებთან და მის «კომუნისტურ მთავრობებთან». მან განიზრახა მთელი კავკასიის ერთად თავის მოყრა და ერთ უღელში გაბმა. მაგრამ ამისთვის საჭირო იყო შესაფერისი ფორმის და რიტუალის გამონახვა. ესეც მალე აღმოაჩინეს და მას «ზაქფედერაცია» დაარქვეს, ხოლო პირდაპირი ადგილობრივი სატრაპები შტატს გარეშე დასტოვეს და უღუფა შეუმცირეს. ან აქ ჩატყდა ხიდი მოსკოვსა და კავკასიის კომუნისტებს შორის. გუშინდელი მეგობრები და გზის მაჩვენებელნი «კონტრ-რევოლუციონერებად და ნაციონალისტებად გამოაცხადეს და მათ მიუსიეს რუსეთიდან ჩამოსული ჩეკისტები. ამის შედეგათ მივიღეთ რამოდენიმე ათეულ ქართველ და ადერბეიჯანელ მეთაურ კომუნისტთა ჩეკის სარდაფში დაბინავება და ნაციონალურ კომპარტიების განადგურება. ასეთია ისტორიული ფაქტი, რასაც თვით მოსკოვიც ვერ მალავს.

მერე რა გამოდის აქედან? განა ეს არის «ეროვნულ თავისუფლების» განუხრელად გატარება? როგორც ვახ. «კომუნისტის» სახეიმა ტრაბახიდან დავინახეთ, ამ «თავისუფლების» წინააღმდეგი ყოფილა ყველა: პოლიტიკური პარტიები, ცალ-ცალკე რესპუბლიკები, თვით ნაციონ. კომპარტიებიც ორად გაყოფილ, მოსკოვის ყველა ამათ დასათურგსავად დიდი შრომა და ენერჯია დაუხარჯავს. ციხეები და ჩეკის სარდაფები გაუფისა, მრავალი, დაუხვრეტი და მრავალიც ციმბირის ტაიგებში გადაუყრა! მერე რისთვის? თუ მოსკოვის დამქაშებს დაუჯერებთ—«კავკასიის რესპუბლიკების თავისუფლება-კეთილდღეობისათვის, ამიერ-კავკასიის ფედერაციისათვის» მაგრამ ეს ხომ ჯალათის ჩვეულებრივი ცინიზმია, იმ ჯალათის, რომელიც დონ-კარლოს

თავს კვეთდა და თან უმტკიცებდა: «თავს გჭრი, რადგანაც შენთვის სიკეთე მინდა»-ო. კავკასიაში ბოლომაც კი იცის რუსეთის ნამდვილი განზრახვები. მისთვის «ეროვნული თავისუფლება». ამიერ-კავკასიის «ფედერაცია» და მრავალი ლამაზი სიტყვები, მხოლოდ საფანელია ბრიყვთა მოსატყუებლად. მოსკოვის რეალური საქმე კი იმავე ეროვნულ თავისუფლების, მოქალაქის უბრალო უფლებების გათელვაში და კავკასიის ხალხების სულიერ და მატერიალურ ავლადიდების განიავებაში გამოიხატება. ჯერ იყო და მოსკოვმა ცალკე რესპუბლიკებს დამოუკიდებლობის ატრიბუტები წაართვა, უბრალო პრეზიდენტობათ აქცია და «ზაქფედერაციაში» შერყვა. მერემედ დაიწყო ამ უკანასკნელის გაფტქვნა. თანდათან შემოაცალა ყველა უფლებები და იგი კავშირის სათანადო კომისარიატებს დაუმორჩილა.

ამ რიგად კავკასია კვლავ გადაიქცა რუსეთის კოლონიათ და მის საწველ ფურად. 12 წლის თავზე მოსკოვმა სავსებით დაიმსახურა კავკასიის ჯალათის სახელი. რასაც წითელი ჯარის შტიკით იცავს და ამგარებს. ამის შემდეგ აბა ვის დააჯერებს კავკასიის «ნამესტნიკის»—მუსაბეკოვის ტრაბახი, რომ მოსკოვის წყალობით «ამიერ-კავკასია ჩამორჩენილ აგრალურ მხარედან მოწინავე ინდუსტრიალურ-აგრალურ მხარედ გადაიქცა»? ერთში კი მართალია «ნამესტნიკი»: ამიერ-კავკასია მართლაც გადაიქცა რუსეთის მოწინავე მხარედ შიმშილის, ხალხის აწიოკების და გლეხთა მეურნეობის განადგურების სფეროში. აქ მართლაც «გიგანტური» ნაბიჯით წავიდა წინ «ჩეკის ინდუსტრია», რომელშიაც, გორკის სიტყვებით რომ ვსთქათ, «ხდება ასიათასობით ადამიანთა სიცოცხლის გადადნობა». ისიც მართალია, რომ კომუნისტური «ფედერაცია» ძალიან ძვირად დაუჯდათ კავკასიის ხალხებს. მას შეეწირა ზღვა ადამიანთა სისხლისა და მთა დახოცილ დახვრეტილ მებრძოლთა. შედეგად მივიღეთ არა თავისუფლება, არა ნამდვილი ფედერაცია, არამედ კავკასიის კვლავ გუბერნიებად დაყოფა და შიგ მართველებად—მოსკოვიდან მოვლენილი ჩინოვნიკები. ამიტომაც, რომ კავკასია დღეს რუსეთის ყველა კუთხეზე უფრო მოუსვენარია, მშფოთარე და დაუდგრომელი. მოსკოვი კარგად გრძობს თავის პოზიციების სისუსტეს კავშირის ამ მხარეში და სათანადო ზომებსაც იღებს იმის დასამორჩილებლად და ასალაგმავად. რუსული «ფედერაცია» ერთი ამ ზომათაგანია, სადაც თავმოყრილია უფლება აყრილ ერთა «წარმომადგენელნი» და მისი მონა მორჩილნი. ამ «ზაქფედერაციის» საშვავლებით ფიქრობს მოსკოვი კავკასიის ხალხების მონობაში ჩაქვედვას. დღესდღეობით ის ამას აღწევს. რუსის ჯარის შტიკს კავკასიის ნება-სურვილად ასადებს და უტიფრად «ფედერაციის» დაარსების 12 წლის თავს ხეიმობს. მაგრამ არც კავკასია სძინავს. რუსულ «ფედერაციას» ის თავის, თავისუფალ კონფედერაციის უპირდაპირებს. მან კარგად იცის, რომ პირველი კავკასიის ხალხების სატუხალა—მის საწამებლად და ასაოხრებლად აგებული; ხოლო მეორე—ნამდვილი თავისუფალი კონფედერაცია კავკასიის თავისუფალ რესპუ-



ბლიკებნისა—ის ფუძეა, რაზედაც იმყნება და იფურ-  
ჩქნება ხალხების თავისუფლება და ნებისყოფა. მისი  
კულტურა და პოლიტიკურ ეკონომიური მეობა.  
თავისუფალ კონფედერაციაში თითოეული ერთი თი-  
თონ განაგებს თავის შინაში საქმეებს და საერთო  
საქმეებისათვის შეკრებილინი მათი წარმომადგენელ-  
ნი; გამოხატავენ მთელი კავკასიის ნება-სურვილებს,  
რომლის სუვერენობა ხელშეუხებელი და თავისუფა-  
ლია გარეშე ძალიდან. ის მოქმედებს და საქმიანობს  
არა ვისიმე კარნახით და ძალდატანებით, როგორც  
ეს საბჭოთა ქვეყნებშია, არამედ—კავკასიის ხალხ-  
ების ინტერესებით და მოთხოვნებებით.

ამ რიგად დღეს კავკასიაში ორი ორგანიზაცია  
იბრძვის. ერთი—რუსული «ფედერაცია», მეორე—  
კავკასიური კონფედერაცია. პირველია—მონობის  
და რუსეთის კავკასიაზე ბატონობის იარაღი. მეო-  
რეა—განთავისუფლებულ ხალხების ნებაყოფლობი

თი კავშირი თავისუფლებასზე და ერის სუვერენობაზე  
აგებული. პირველი ყვლავს და ანადგურებს ნაციონ-  
ალურ სიმდიდრეს და კულტურას; მეორე—იცავს  
და ასაზრდოებს ქვეყნის კეთილდღეობას. ამ ორ ძა-  
ლის შორის სამკვედროს-სასილოცხლო ბრძოლა გა-  
ჩაღებული. პირველი დღეს გაბატონებულია, ის კი-  
დევე ბოგინობს რუსის ხრშტის შემწეობით. მეორე  
კი დღეს სარდაფშია ჩადენილი და იბრძვის მონობის  
ჯაჭვის დასაგლეჯათ. მისი იდეა ცხოველმყოფელია,  
ის მოედო მთელ ხალხს და იქ დაისაბუღრა. მისი ნე-  
ქტარით დაიბანგა ნაციონალური კომპარტიებიც და  
ასე გამძლავრებული ის მოღის და მოიძარება ხალ-  
ხის გულიდან. მის ძლევამოსილებას ვერ გაუძლებს  
მონობის ქურჭელი—რუსული «ნაკონფედერაცია» და  
ჩვენ ვეცნობთ მუსაბეჯავს და კრემლის ბატონებს  
მეორეთ დასცალდეთ ასეთი ზემი.

ხარ. მენ.

### დ ე მ ო კ რ ა ტ ი ა თ უ ღ ი ძ ტ ა ტ უ რ ა ?

ამ ოცდაათ-ორმოცი წლის წინად რომ ეკითხა  
ვისმე ხალხთა პოლიტიკურ ცხოვრების მცოდნე და  
დაკვირვებულ მოღვაწისათვის, რა გზით ივლიდა ამ  
ცხოვრების განვითარება, რა ფორმებს მიიღებდა,  
განსაკუთრებით ევროპაში, ძლიერ საეჭვოა, ოდნავ  
სამართლიანად ეწინასწარმეტყველანა.

სხვა ქვეყნებს რომ თავი დავანებოთ, იმდენად  
განსხვავებულ სურათს წარმოადგენს დღევანდელი  
ევროპა იმისაგან, თუ რასაც მოელოდა ცხოვრების  
წინსვლისა და განვითარებისაგან მაშინდელი განვი-  
თარებელი და შეგნებული პოლიტიკური აზროვნე-  
ბა, რომ იმედების ასეთს გაკრულებას შეუძლია ადამი-  
ანის გონება სრულს უნუგეშობასა და სასოწარ-  
კვეთილებაში ჩააგდოს.

დიდი ომის წინ იმდენად მძლავრი იყო ევრო-  
პიელ ერთა შორის დემოკრატიული იდეა, იმდენად  
ურყევი ამ იდეის ქეშმარიტების და აუცილებლობ-  
ის აზრი, რომ ის ქვეყნები, სადაც განმტკიცებული  
იყო დემოკრატიული წესწყობილება, მისაბაძევ მა-  
გალითებად ჰქონდა დასახული თავისუფლებას მო-  
კლებულ ჩამორჩენილ ქვეყნებს.

გაჩაღდა ომი, გაუგონარი და უმაგალითო, რა-  
მელმაც თითქმის მთელი კაცობრიობა ორ ბანაკად  
გაყო სრული ოთხი წლის განმავლობაში. ერები და  
არა ჯარები, როგორც ეს ხდებოდა წინანდელ ომე-  
ბის დროს, გახელებულნი, უკიდურესის ბრახით ეძ-  
გებოდნენ ერთი მეორეს და დაუნდობელნი მოს-  
პობას უქადოდნენ ერთმანეთს.

ადამიანის მკლავი, გონება, ნიჭი, სული და სორ-  
ცი, მთელი მისი არსი. მეცნიერება და ხელოვნება,  
მთელი მისი შემოქმედება, სარწმუნოებაც კი,—ყვე-  
ლაფერი გამოყენებულ იქნა თავის მსვავსთა გასაწ-  
ყვეტად, და... სწყდებოდნენ არა ასობით და ათასო-  
ბით, არა ათი და ასიათასობით, არამედ მილიონო-  
ბით.

რადა საკვირველია, რომ ამ სისხლის მორევში  
ჩამღრჩვალყოფილი ადამიანური გრძნობა და წარმოდგე-

ნა, რომ ათას ხუთასის დღის განმავლობაში მუდამ-  
დღე კაცის კვლის და დასახიჩრების, მუდამ დღე სი-  
სხლისა, დამახინჯებულ ცხედართა და დასახიჩრე-  
ბულ ცოცხალთა ხილვამ განაძვინა და გააქვევა ადამი-  
ანთა გული, შექმნა მათ გონებაში ნიადაგი ისეთის  
აზრებისა და გრძნობების გასაშლელად, რომელთაც  
იგივე სიმკაცრე და დაუნდობლობა უდევს საფუ-  
ძვლად, რომელთათვის ადამიანის პიროვნება და სი-  
ცოცხლე ალარაფრად ფასობს.

დემოკრატიულ იდეას ადამიანის პიროვნება და  
ამ პიროვნების ძირითადი მოთხოვნილება—პირადი  
თავისუფლება უდევს საფუძვლად. და დიდის ომის  
შედეგებში სწორედ ამით გამოუთხარეს ძირი, ომი  
რომ კიდევ გაგრძელებულიყო, მოსალოდნელი იყო  
თვით ევროპის ცივილიზაციისათვისაც გამოეთხარა  
ძირი და ბოლო მოეღო.

ხალხთა ამ ფსიქოლოგიურ ნიადაგზე აღმოცენდა  
მისწრაფება, რომელმაც თითქმის მთელ დედამიწას  
მოსდო ის წესწყობილება, დიქტატურა რომ ეწო-  
ლებოდა.

ისე გახშირდა ომის შემდეგ სახელმწიფო მართვა-  
გამგეობის ეს ფორმა, რომ არა ერთხელ გაისმა ინ-  
გლისელ მოღვაწეთა სიტყვებში, ინგლის-საფრანგე-  
თში და შერჩენია თავისუფლებას თავშესაფარიო.

უკანასკნელ დროის პოლიტიკური ლიტერატურა  
სავსეა დემოკრატიულ წესწყობილების კრიტი-  
კით: დემოკრატიულმა წესმა თავისი დრო მოსჭა-  
მა; პარლამენტები საღაყბობად გადაიქცა, სადაც  
თვალთმაქცები და დემოგოგები მთავრობენო; სიც-  
რუნის მექრთამეობის, ხალხის მოტყუილების, ავან-  
ტიურებისა და პატივმოყვარეობის დასაკმაყოფი-  
ლებელ ასპარეზად გადააქციეს ხალხის წარმომადგე-  
ნლობაო. დემოკრატიული. პარლამენტარული წეს-  
წყობილება გადაგვარდა და მის მაგიერ სხვა რამ უნ-  
და იქნას შემოდებელიო.

ეს კრიტიკა არც ისეთი საშიშარი იქნებოდა თა-  
ვისთავად, რომ მას ხელს არ უწყობდეს გარეშე პი-

რობები. საუბედუროდ ეს უკანასკნელი ძირიანად შეიცვალა. დიდმა ომმა ისე შეარყია ხალხთა ცხოვრება, ისე ძირიან-ფესვიან გადაატრიალა სოციალურ და ინდივიდუალურ ცხოვრების პირობები, მირაჟად აქცია ისეთი წარმოდგენა-მცნებანი, რომელნიც ურყევად მიაჩნდა კაცობრიობას, რომ კრიტიკა უფრო დამაჯერებელი გახდა და ახალის მქადაგებლებს არა თუ მიმდევარნი გაუჩნდათ, მთელი ერები აყვნენ.

დიქტატორული წესები უკანასკნელ ომის წინაც არსებობდა. დესპოტიზმის ძველ ფორმებს თუ არ ვიტყვი, ასეთი იყო სამხრეთ და შუა ამერიკის მთავრობები. ოღონდ დიდი განსხვავებაა ამათსა და იმ დიქტატურებს შორის, რომელნიც ნაომევეს გაჩნდნენ ევროპაში.

ძველი დესპოტიზმი, თუ «წყალობას ღვთისას» არ ჩავთვლით განსაკუთრებულ იდეოლოგიად, სხვა ასეთ რამისათვის თავს არ იტკივებდა. ერთი პირი ან ჯგუფი იგდებდა ხელში ხელისუფლებას და ამ უბრალო ფაქტს ეყარებოდა.

ამერიკელი დიქტატორები გარეგნად დემოკრატიულ პრინციპებს ეფარებიან: მათი კონსტიტუციები და მანიფესტები მუდამ თავისუფლებზე, სამართალზე და ამგვარ რამეებზე ეპაპრაკობენ.

სულ სხვაა ევროპაში უკანასკნელ დროს შემოღებული დიქტატურები. ამათ შექმნეს იდეოლოგიები, ფილოსოფიურ-პოლიტიკური საძირკველი ჩაუყარეს თავიანთ ხელისუფლებას, იურიდიული ბაზა ამოუშენეს და ახდილად ებრძვიან დემოკრატიულ დებულებათ და პრინციპიულად არა სცნობენ მოქალაქეთა უფლებებს და თავისუფლებას.

ასეთია ის სამი მთავარი დიქტატურა, რომელიც მართავს დღეს სამ დიდ სახელმწიფოს, რუსეთსა, გერმანიას და იტალიას.

პირველი საფუძვლად უდებს სახელმწიფო ხელისუფლებას «მუშათა და გლეხთა» ნებისყოფას, მეორე რასას აკუთვნებს უმაღლეს ხელისუფლებას და მესამე კიდე ერს. მაგრამ მაშინ, როდესაც თეორიულად ერთი კლასიურ ნიადაგზე სდგას, მეორე რასიულსა და მესამე ერგვულზე, სინამდვილეში არც ერთი მათგანი არავითარ ანგარიშს არ უწევს მისგანვე შექმნილ თეორიასა და იდეოლოგიას.

რუსეთში მუშა და გლეხი ისევე დაჩაგრული და უფლება აყრილი არიან, როგორც დანარჩენ კლასების წარმომადგენელნი. მათ არავითარი არც მონაწილეობა, არც გავლენა არ აქვთ მართვა-გამგეობაზე, რადგან მთელი ძალაუფლება ეკუთვნის კომუნისტურ პარტიას ან, თუ გავიხსენებთ, როგორის სიადვილით სწმენდნენ დროგამოშვებით ამ პარტიას და, რაც უფრო საგულისხმეოა, ვისის ინიციატივით და ბრძანებით,—უფრო ამ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და კიდე უფრო ერთ კაცს, პარტიის გენერალურ მდივანს, რადგან კომიტეტი ამ უკანასკნელის ყურმოჭრილი მონაა.

ასევე დაცლებულია პოლიტიკური სინამდვილე გერმანიაში. ნაციონალ-სოციალისტურ სწავლის ძირითადი დებულებაა, რომ უმაღლესს ხელისუფლების მატარებელი გერმანული რასაა, ნამდვილათ კი ამ უფლების ბატონ-პატრონია ერთი პარტია, და

აქაც, რაკი პარტია უსიტყვოდ ემორჩილება თავის ბელადს, მთელი ხელისუფლებაც მას ეკუთვნის.

იმავე მოვლენას ვხედავთ იტალიაში. ფაშისმის იდეოლოგია ერის ხელისუფლებაზეა აშენებული, მაგრამ სახელმწიფო ცხოვრების ნამდვილი გამგე ფაშისტური პარტიაა.

ხემოდ ნათქვამი იყო, რომ ეს ახალი წყობილებანი ახდილად უარყოფენ დემოკრატიულ პრინციპებს,—პიროვნების, მისის სინდისის და სიტყვის. თავისუფლებას და მასზე აგებულ უმრავლესობის უფლებას.

რაც შეეხება ბოლშევიკურ ხელისუფლებას, აქ ეს უარისყოფა დაგვირგვინებულია ძალმომრეობის თეორიით. ადმინისტრაციული გადასახლება, იძულებითი შრომა, ხვრეტა, ბეჭდვითი სიტყვის მონაპოლია, ერთი სიტყვით, სახელმწიფო ტერორი, ეს ისეთი ცხადი უარყოფაა პიროვნებისა და მისი თავისუფლების, რომ შეიძლება ითქვას. იქ ძალმომრეობის პრინციპი სავსებით არის გატარებული ცხოვრებაში.

ბოლშევიკების აზრით, ძალმომრეობის თეორია შექმნილია საფრანგეთის დიდი რევოლიუციის მიერ, და რაკი ამ რევოლიუციის თავყანისმცემელნი არიან, იმიტომაც მისიღვენ მის თეორიას და ქმნიან ტერორს.

სიყალბეაო, ამბობს ამის შესახებ ალფონს ოლარი, «თუ საფრანგეთის რევოლიუცია ბოლშევიკურ დიქტატურად გადაიქცა, თუ ამ რევოლიუციის დროს ადგილი ჰქონდა ძალმომრეობას, ძალმომრეობის და დიქტატურის თეორია უცხო და უცნობი იყო ამ რევოლიუციის სულისა და მის ბელადებისათვის. ერთად ერთი თეორეტიკოსი ძალმომრეობისა, მარატი, უარყოფილ და გაკიცხულ იქნა არა თუ რევოლიუციის სულისა და აზრის მიერ, არამედ მის წინამძღოლთა და რჩეულ მართველთაგან»-ო, ამბობს ოლარი.

ბოლშევიზმში თეორია და სინამდვილე დაცლებული არიან ერთი მეორესათჳო, ვთქვით. თეორიით მუშა და გლეხი არიან ბატონები, ნამდვილად კი კომუნისტურ პარტიის ცენტრალური კომიტეტი. მაგრამ იქ სხვა წინააღმდეგობასაც აქვს ადგილი. ბოლშევიკებს ნამდვილ მარქსისტებად მოაქვთ თავი. ამიტომ ეკონომიკას, ეკონომიურ ორგანიზაციას უნდა ქონოდა მათში პირველობა და უპირატესობა პოლიტიკაზე და პოლიტიკურ ორგანიზაციაზე. ნამდვილად კი მათი ტრესტები და სინდიკატები ცხოველი ორგანიზმები კი არ არიან, არამედ უბრალო ადმინისტრაციული ორგანოები, ამ ორგანოების მართველნი კიდე დამოუკიდებლობას მოკლებული მოხელენი, ხელისუფლების მიერ წარმოებულ პოლიტიკის მონურად აღმსრულებელნი. ამას თუ იმასაც დაუშვებთ, თუ რა მძლავრი პოლიტიკური პოლიცია გაიჩინა თავის თავის დასაცავად და ძალაუფლების შესანახად ხელისუფლებამ, ცხადი გახდება, რომ პოლიტიკას უჭირავს პირველი ადგილი და ეკონომიკა მას ემორჩილება.

ამ რიგად მოსკოვის დიქტატურამ კაცობრიობის ათასის წლობით შენაძენიც მოსპო, მოსპო ადამიანის პიროვნება და მისი თავისუფლება, ანაცვალა



ისინი მათ უარისმყოფელ დოქტრინას, ხოლო თვით დოქტრინაც გაცრუებული დარჩა.

ბოლშევიზმი თუ კლასიურ ნიადაგზე აშენებს ხელისუფლებას და ჰიტლერიზმი რასიულზე, ფაშიზმი ამ მხრით ძველ ნიადაგზე სდგას და ხელისუფლების მატარებლად ერს სახავს.

მაგრამ ერთი პოლიტიკურად ხომ იგივე დემოკრატია. ერის მიერ ხელისუფლების ხმარება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ უმრავლესობის პრინციპის ამუშავების საშუალებით. უმრავლესობა უმცირესობა წარმოუდგენელია, თუ ყოველი მათი წევრი, პიროვნება თავისუფალი არ არის, თუ მას არ შეუძლია თავისუფლად გამოსთქვას თავისი ნებისყოფა.

ფაშიზმი კი უარყოფს ამ ძირითად დემოკრატი-

ულ დებულებებს.

ეს წინააღმდეგობა, —ერთის მხრით ერი და მეორეს — დემოკრატიულ დებულებათა უარყოფა, — აიხსნება იმით, რომ ფაშისტურ თეორიას ერი არა პოლიტიკურად ესმის, არამედ განყენებულ მცნებად ჰკავს წარმოდგენილი, მეტაფიზიკურად. ყველაფერი ერის სახელით და ერისათვის კეთდება, მაგრამ არა ერის ნებისყოფით, არა მისი და მხოლოდ მისი მონაწილეობით. ერის ამნაირად გაგება შესაძლებელ ხდის დემოკრატიულ პრინციპების შეზღუდვას, მათ უარყოფას და მმართველთა ერის წინაშე ყოველივე ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებას.

(დასასრული იქნება)

დარბაიხელი.

### წერილი საქართველოდან

კეანრეშუმეგობა საქართველოში

მეპარეშუმეგობა, როგორც მეურნეობის ერთ-ერთი დარგი ჩვენ უნდა გავყოთ ორ ნაწილად. პირველი — ეს არის პარკის მოყვანა. ანუ ჭიის გამოყვანა და გამოკვება, ხოლო მეორე ნაწილი კი შეიცავს ამ პარკის გადამუშავებას, მის საბოლოო პროდუქციით ქცევას. ჩვენ ამ წერილში მხოლოდ პირველ ნაწილს შევეხებით და განვიხილავთ საქართველოს მოსახლეობისათვის ეკონომიურად რამდენათ ხელსაყრელია მეურნეობის ეს დარგი ამჟამად.

მაგრამ, ვიდრე ამ კითხვას შევეხებით, საქართველოში მიგვაჩნია შევჩერდეთ იმ თავისებურობაზე, რომელიც თან ახლავს არა საერთოთ აბრეშუმეულობის მრეწველობას, არამედ მეპარეკობას. ვინც დაახლოვებით მანაც იცნობს მეპარეკობის განვითარების პირობებს, მისთვის აშკარაა ერთი რამ. იმ ქვეყნებიდან, რომელიც მეპარეკობას მისდევდნ ამ საქმეს შერჩენ ისეთი, სადაც ეკონომიური განვითარების პროცესი ან სრულიად შეჩერებულია, ან და ფრიად ნელი ნაბიჯით მიდის წინ. მაგალითად, საფრანგეთი ერთ დროს მეპარეკობას ფრიად ფართოდ მისდევდა, მაგრამ იმდენად, რამდენათაც ეკონომიურად და კულტურულათ საფრანგეთის ერი წინ მიდიოდა, მეპარეკობა ეცემოდა და დღეს იქ მეურნეობის ეს დარგი თითქმის აღარ არსებობს. ამავე მოვლენას ვხედავთ სხვა ქვეყნებშიც.

რატომ მოხდა ეს ასე?


მეპარეკობის საფუძველი, გარდა სათანადო ჰავისა და საკვებ მასალისა, არის გლეხის ოჯახი, რომელიც შესდგება მრავალ რიცხოვან წევრებისაგან. ჭიის ამოყვანა და მისი გამოკვება შეადგენს ქალთა და მცირე წლოვან ოჯახის წევრთა საქმეს და ესეც მხოლოდ მაშინ, როცა ოჯახში სუარბობს ქალთა, სხვა საქმისათვის, გამოუყენებელი სამუშაო ძალა. საკმარისია გამოჩნდეს საქმიანობის სხვა დარგი, სადაც ქალთა და მცირეწლოვანთა შორის გამოყენება შესაძლებელია, რომ მეპარეკობა უკუგდებული იქნეს, როგორც ეკონომიური სარგებლიანობის უფრო ნაკლებათ მომტანი. მეპარეკობის საქმეში დამატარებული შრომის გამოყენება შეუძლებელია, იგი უნ-

და აწარმოოს ოჯახმა თავისი საკუთარი ძალებით. კულტურულად განვითარებული მოსახლეობა მეპარეკობას ვეღარ მოჰკიდებს ხელს, ვინაიდან ხალხი, რომელიც კულტურულ ცხოვრების ფერხულშია ჩაბმული, მრავალრიცხოვან ოჯახებიდან აღარ შესდგება, გამოუყენებელი სამუშაო ძალა აღარ არის და ქალის ოჯახიდან გასვლა, სამსახურში ჩადგომა სათავილო საქმეს აღარ წარმოადგენს. აი მთავარი მიზეზი იმის, თუ რატომ ხდება, რომ ეკონომიურად და კულტურულად განვითარებულ ქვეყნებში მეპარეკობა ეცემა.

ასეთივე მოვლენის მოწამენი ვართ საქართველოშიც. ეკონომიური და კულტურული განვითარების პროცესი ქართველ ერში იწვევდა მეპარეკობის შემცირებას და ზოგიერთ კუთხეებში სრულიად მისგან ხელის აღებას.

მაგრამ საქართველო დღეს ხომ ოკუპაცია ქმნილია. დამპყრობელი როდის იყო, რომ დაპყრობილი ერის კულტურულ დონეს, მის კულტურულ მოთხოვნილებებს ანგარიშს უწევდა? საქართველო დღეს რუსეთის კოლონიას შეადგენს და რუსეთის დიდი ბატონი მისგან მოითხოვს ყველაფერს: ქონებრივად და სულიერად გაცარცვას, ნივთიერი სიმდიდრის საზღვარგარეთ გატანას და უსასყიდლო იძულებით შრომას. საქართველო ამჟამად წარმოადგენს მონათ მფლობელობის ქვეყანას. ხალხს ერეკებიან ბამბის, თამბაქოს და ჩაის პლანტაციებში იძულებითი სამუშაოზე. მამაკაცებს ამუშავებენ ძალით შავი ჭქვის მაღაროებში, ქვანახშირის გვირაბებში. ტყეებში საექსპორტო ხეტყის მასალების დასამზადებლათ და სხვა, ხოლო ქალებსა და მცირე წლოვანთ — აბრეშუმის პარკის მოსაყვანათ.

საქართველოს მთელი რიგი რაიონებისა, განსაკუთრებით დასავლეთი საქართველო ხელისუფლებამ გამოაცხადა აბრეშუმის პარკის რაიონებათ. ამ რაიონების თითოეულ ოჯახს იბარებენ ხელისუფლების აგენტები და აძლევენ დავალებას თუ რამდენი ფუთი პარკი უნდა ჩააბაროს მთავრობას. შეუძლია თუ არა ამ ოჯახს ამდენი რაოდენობის პარკის



მოყვანა—ამის განხილვაში მთავრობის აგენტები არ შედიან. ვერც შევლენ, ვინაიდან, ერთის მხრივ მოსკოვის მიერ მოცემული გეგმა ყოველივე მიზნებს გარეშე უნდა იქნეს შესრულებული. მის შესრულებლობის შედეგათ მოყვება უსასტიკესი სასჯელი, როგორც აგენტების, ისე მოსახლეობის მიმართ. აგენტების დაპატიმრება და მავნებლობის დაბრუნება, ზრჩი ოჯახის კულაკათ გამოცხადება და დარბევა აი სასჯელის ერთ-ერთი ფორმა. მეორეს მხრივ ადგილობრივი ხელისუფლება პირველ რიგში თავის კარიერაზე ზრუნავს და, რომ დიდი ბატონის ყურადღება დამსახუროს, მოსკოვის მიერ მოცემულ დამზადების გეგმას თვალსაჩინოთ აღიღებს. ამნაირად, თითოეულ რაიონს ეძლევა პარკის დამზადების გადიდებული გეგმა. მაგრამ საქმე ამით როდი თავდება. თუ საქართველოს ხელისუფლება ცდილობს დამსახუროს მოსკოვის წყალობა, რაიონის აგენტიც პატარა ბატონის მაგალითს ბაძავს და ახლი ის აღიღებს თავის მხრივ პარკის დამზადების გეგმას თავის რაიონისათვის. ამნაირად, ცეკა, მთავრობა და მისი რესპუბლიკანური და სარაიონო აგენტები, რომ მოსკოვის დიდი ბატონის წინაშე ნდობა დამსახუროს და წინ წაწევა მიიღონ, ერთმანეთს ეჯიბრებიან მოსახლეობის დამონავება გაცარცვაში და ამ ყაჩაღობას ოფიციალურ ენაზე სოციალისტურ შეჯიბრებას უწოდებენ.

ამ წესით პირველ წელიწადში დამზადებული ნორმა მეორე წელიწადს მოსკოვისათვის საბაზისო ნორმით ხდება. ფაქტურად მიღებული პარკის რაოდენობას შემდეგი წლისათვის მოსკოვის მთავრობა აღიღებს 20 30 პროცენტით და ასეთი გეგმის შესრულებას მოითხოვს ადგილობრივი მთავრობიდან. ადგილებზე კი იწყება ხელმოკრეთ შემხვედრი გეგმების შედგენა, ურთიერთ შორის შეჯიბრება და უბედური. გაძვალტყავებული გლეხკაცობის ანგარიშზე, მის უბედურობაზე მთავრობა და მისი აგენტები აგებენ თავის პირად ბედნიერებას, კარიერას.

უბედური დედები იძულებული არიან თითო ბავშვები აკვანში ჩაქრული უპატრონოთ დატოვონ სახლში და ჰიის საკვებ ფოთოლზე ეთრიონ ორი-სამი კილომეტრის მანძილზე. არა ერთი და ორი ბავშვი შეეწირა მსხვერპლად პარკის დამზადებას. იყო შემთხვევები უპატრონოთ დარჩენილი ბავშვების დაწვისა და დახრობის. გავერანდა გლეხის ოჯახი. ქმარიცა და ცოლიც იძულებით სამუშაოზე არიან გარეკილი. მათთვის აღარც საუკმელი, აღარც დარეცხვა, აღარც სისუფთავე აღარ არსებობს. გლეხის ოჯახი დაუბრუნდა პირველყოფილ მდგომარეობას.

აი ასეთი ძალადობით მოყვანილი პარკი გლეხკაცობამ თავისი ხარჯით უნდა ჩააბაროს მთავრობას 10-15 კილომეტრის მანძილზე. როცა გლეხკაცობას პარკი მიჰქვს ჩასაბარებლათ, მთავრობის აგენტები პირდაპირ ჯამბაზობას ეწევიან. გამოირეკავენ ამ რაიონის კომსომოლებს, მისცემენ ხელში წითელ დროშას და სიმღერით და ერთი ალიაქოთით მიუძღვებიან წილ პარკის ქარავანს. უკან კი გაძვალტყავებული, თავჩაქინდრული და მწარე ფიქრებში გაერთული გლეხები მისდევენ მუქათა წაღებულ ნაოფ-

ლარს. მეორე დღეს კი განხებში ვკითხულობთ იმ «აუწერელი ენტუზიაზმის» შესახებ, რომელსაც გლეხკაცობა იჩენდა პარკის ჩაბარების უამს.

ან რატომ არ უნდა იყოს გლეხი სასომხიდილი, შავი ფიქრებით მოცული? ჯერ იყო და ძალით მიახვიეს თავზე პარკის მოყვანის საქმე. რომელსაც შესწირა მთელი ოჯახი. მოყვანა პარკი, ჩააბარა მთავრობას და სახლში დარჩა თუთის ხეებზე ხოხვის გამო სრულიად შემოგლეჯილი, ტიტველი ცოლშვილი, ზოგიერთ მათგანს ცარიელი აკვანი და პატარა სასაფლაო. მთავრობის მიერ პარკზე დაწესებული ფასი ამ პარკის მოყვანაზე შემოხეულ ტანსაცმელსაც კი ვერ ანაზღაურებს. ფუთ პარკში მთავრობა იძლევა 25 მანეთს, ე. ი. «ტორგისინს» კურსით 50 კაპეიკს და ეს იმ დროს, როცა ომამდე ერთი ფუთი ნედლი პარკი იყიდებოდა დასავლეთ საქართველოში 17-20 მანეთამდე ოქროთი. ენლა კი მთავრობა ამავე პარკში 20 მანეთის ნაცვლიად 50 კაპ. აძლევს.

აი რას ნიშნავს დაპყრობილი ერის ბედი და მონობის უღელი, რომელიც მოახვია თავზე საქართველოს რუსეთის ბოლშევიზმა. კოლონიად ქცეულ საქართველოდან დამპყრობლებს მიაქვთ მუქათა, როგორც ბუნებრივი სიმდიდრენი, ისე ხალხის ნაოფლარი. ხალხი, შემბული მონობის უღელში იძულებულია აკეთოს ის, რაც და რამდენიც მოსკოვის ხელისუფლებას სურს და თუ ხალხმა ვერა შესძლო ასეთი უღლის ახიღვა, მას შესვენებისა და შემსუბუქების ნაცვლად სჯის უსასტიკესი სასჯელით. ასე მონდა 1932 წელში.

ამ წელში მოსკოვმა ვერ მიიღო საქართველოდან გეგმით გათვალისწინებული რაოდენობის პარკი. ხალხი გარეკილი იყო: სოიას, ჩაის, თამბაქოს და ბამბის დამუშავებაზე. ვეღარ მოუარეს აბრეშუმის პარკსაც და იგი გაფუქდა. მთავრობამ ამაში დაინახა მავნებლობა და შეუდგა დამნაშავეთა ძებნას. კომუნისტურ ხელისუფლებას ერთი თვისება ახასიათებს. როცა ამა თუ იმ უგზური გეგმის შესრულება შეუძლებელი გახდება, ან ასეთი გეგმა კატასტროფით დასრულდება, დამნაშავეებს სპეციალისტებში ეძებს. ასე მოიქცა პარკის დამზადების საქმეშიც. მან ხელი მოუსვა საქართველოს საუკეთესო სპეციალისტებს და გეპუუს სარდაფებში ჩაყარა. 1932 წლის აბრეშუმის პარკის გეგმის შეუსრულებლობა მათ მოახვია თავზე და დღეს ოცამდე მეაბრეშუმეობის ქართველი სპეციალისტი ზის საპატიმროში. ეს მეორე წელიწადია, რაც ეს ხალხი ჩამწყვდეულნი არიან სარდაფებში და ჯერაც არ არის გამოძიება დამთავრებული. როგორც სმები დადის მათ აბრალებენ, თითქოს 1932 წელში ხალხისთვის განგებ მიეცეთ დაავადებული პარკის თესლი. და ვითომც ამის გამო ვერ შესრულდა 1932 წლის პარკის დამზადების გეგმა. ჩვენ არ ვიცით როგორი თესლი იყო დარიგებული 1932 წელში მაგრამ თუ რა მოხდა 1933 წელში, ამის მოწმე არიან საქართველოს აბრეშუმის ტრესტის ყველა თანამშრომლები და აი რა მოხდა.

როდესაც ტრესტმა მოსკოვიდან მიიღო 1933 წლის პარკის დამზადების გეგმა, გამოირკვა, რომ ტრესტს ამდენი პარკის დასამზადებლათ არა აქვს



საყოფი რაოდენობის ჭიის სრულიად საღი თესლი, ხოლო ნაწილობრივად დაავადებული თესლის დარიგება ხალხზე მიწათმოქმედების სახალხო კომისიარიატის დადგენილებით სასტიკათ აკრძალულია. საქართველოს ცეკასა და ტრესტის ხელმძღვანელთა წინაშე დაისვა თავისთავად ასეთი კითხვა: ან შუამდგომლობა უნდა აღძრან მოსკოვის წინაშე, რომ 1933 წლის პარკის დამზადების გეგმა შეამცირონ 30-40 პროცენტამდე ან და ჭიის საღ თესლთან ერთად ხალხს დაურიგონ ნაწილობრივად დაავადებული თესლიც.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცეკამ კარგათ იცის თუ რას ნიშნავს მოსკოვის წინაშე ამა თუ იმ გეგმის შემცირების შესახებ შუამდგომლობის აღძვრა. ეს ხომ გენერალური ხაზის გამრუდებით ჩაეთვლება მას, რასაც პარტიული კარიერის დაღუპვა მოყვება? ასეთ ნაბიჯებს ცეკა ვერ გადადგამს. მაშ იხევ ნაწილობრივად დაავადებული თესლი უნდა იქნეს გაციმული მოსახლეობაზე. მაგრამ აქაც ხომ იგივე საფრთხე მოელის მოსკოვის აგენტებს საქართველოში? ხომ შესაძლებელია ნაწილობრივად დაავადებულმა თესლმა 1933 წელშიც პარკის ცუდი მოსავალი მისცეს და მოსკოვის გეგმა შეუსრულებელი დარჩეს? მართალია, ასეთ შემთხვევაში, ცეკა და გეპუე მავნებელთა ახალ პროცესს შექმნიან, დაიჭერენ გარეთ დარჩენილ სპეციალისტებს და მთელ პასუხისმგებლობას მათ მოახვევენ თავზე. მაგრამ გეგმის შეუსრულებლობის მთელ პასუხისმგებლობას მაინც ვერ აიცილებენ. ვერც საქართველოს ცეკა და ვერც გეპუე. ვინაიდან ბრალდება, რომ «ბოლშევიკური სიფხიზლე» ვერ გამოიჩინეს, ძალაში დარჩება, როგორც ცეკას, ისე გეპუეს მიმართ. და, აი, ასეთ მოჯადოებულ ჩიხიდან გამოსავალს ცეკა და გეპუე პოულობენ შემდეგი ხერხით:

ტრესტის დირექტორს, გეპუეს ყოფილ აგენტს ბატონ უდენტს ავალებენ მოიწვიოს სპეციალისტთა თათბირი და ამ თათბირს გამოატანიოს დადგენილება, რომელშიც აღნიშნული იქნება, რომ ნაწილობრივად დაავადებული თესლის მოსახლეობაზე გაცემა შესაძლებელია. იხსნება თათბირი. თათბირის მონაწილე თითოეულმა სპეციალისტმა წინასწარ იცის, თუ როგორ დადგენილებაზე უნდა მოაწერონ ხელი. სამარისებული სიჩუმეა. ადამიანს აღარც ერთი არა ჰკავს, აჩრდილათ ქცეულან. ფორმალური მხარე შეასრულეს. თითოეულმა ცალცალკე ხმის კანკალით განაცხადა: «თესლის ნაწილობრივად დაავადებას მნიშვნელობა არა აქვს და ასეთი თესლის მოსახლეობაზე გაცემა სასებით შესაძლებელია». ოქმი შეადგინეს, თითოეულმა ხელი მოაწერა და დაიშალენ.

მეორე დღეს დადგენილების ასლები სასწრაფოთ დაგზავნა გეპუემ, ცეკას და სხვა მალა მდგომ საქართველოს და ამიერ-კავკასიის ხელმძღვანელ ორგანოებს. იმავე დღესვე გაიცა განკარგულება ჭიის საღ თესლთან ერთად გაენაწილებიათ რაიონებზე ნაწილობრივად დაავადებული თესლიც.

მოსკოვის აგენტები უზრუნველყოფილი არიან, გამოსავალი ნაპოვნია.

თუ ვინცობაა 1933 წელშიც განმეორდა 1932 წ. მაგალითი, საქართველოს ცეკა, გეპუე და ტრესტის დირექცია არაფერ შუაშია. აი სპეციალისტები, მათი დადგენილება, მთელი პასუხისმგებლობა უბედურ სპეციალისტებს ატყდებათ თავზე. ამის ოფიციალური დოკუმენტი ხელში აქვთ. ვინდა შეედავებათ!

ასე ეწირება მსხვერპლად მოსკოვის მტაცებელურ გეგმებს საქართველოს კულტურული ძალები, ასე ახვევენ პროვოკაციის ქსელში უბედურ სპეციალისტებს. რომლებიც მოკლებული არიან იმის საშუალებასაც კი, რომ უარი სთქვან ასეთ პროვოკაციულ დოკუმენტის ხელისმოწერაზე.

აქარაა, ასეთსავე მოვლენას ჰქონდა ადგილი 1932 წელშიც, ხოლო იმ განსხვავებით, რომ ამ წელში სპეციალისტები არ ყოფილან იძულებულნი ოფიციალურ დოკუმენტზე მოეწერათ ხელი. გასცა განკარგულება ტრესტის დირექტორმა ნაწილობრივად დაავადებული ჭიის თესლის გაცემა შესახებ და აპარატში შეასრულა. რომ ეს ასე იყო, მტკიცდება იქიდანაც, რომ სპეციალისტებთან ერთად დაპატიმრებულია ტრესტის მაშინდელი დირექტორი ჩხეიძე, კომუნისტური პარტიის წევრი, რომელმაც ერთ-ერთ თათბირზე იქონია იმდენი გამბედაობა, რომ განაცხადა: «მოსკოვის მიერ მოცემული გეგმის შესრულება პარკის დამზადების საქმეში შეუძლებელია, ვინაიდან იგი აღემატება ყოველგვარ შესაძლებლობას»-ო.

მოსკოვი კი საქართველოდან მოითხოვდა:

1930 წელში	205.680 ფუტი	პარკის დამზადებას.
1931	237.960	«
1932	283.642	«
1933	268.000	«

ასეთი რაოდენობის პარკის დამზადება საქართველოს მოსახლეობის ძალღონეს აღემატება. ჯერ კიდევ იმ დროს, როცა ფუთ ნედლ პარკს მოსახლეობა 20 მანეთ ოქროზე ყიდდა და როცა პარკის მოყვანა ეკონომიური თვალსაზრისით ხელსაყრელი იყო. საქართველო ზაქათალის ოლქით საშუალოთ 97.000 ფუთ ნედლ პარკს ძლივს იძლეოდა. დღეს, როცა მთავრობა ამავე პარკს მოსახლეობას მუქათათ ართმევს, როცა დაბეგრისა და განკულაქების შიშით მამა შეილთან აღარ ცხოვრობს და ძმა ძმასთან და, ამნაირად, ოჯახს არა თუ აღარა ჰკავს მოქარბებულ წევრები, წინააღმდეგ, დიდიდან საღამომდე ოჯახის კარები გამოკეტულია უპატრონობით, ვინაიდან დიდი და პატარა სხვადასხვა იძულებით სამუშაოზე არიან გარეკილი,—ვინდა უნდა მოიყვანოს პარკი და მოუაროს ჭიის?

მაგრამ როდის იყო, რომ დამპყრობელი დაპყრობილის კენსას ანგარიშს უწევდა? მოსკოვისათვის ქართველი ხალხი არსებობს იმდენად, რამდენადაც ამ ხალხის მონობის უღელში შებმა შესაძლებელია, მაგრამ იგი არ კმაყოფილდება ხალხის ნივთიერად გაცარცვით და მისი აგენტები საქართველოში ანადგურებენ ფიზიკურად ამ ერის მეცნიერულ და ტექნიკურ ძალებსაც.

ხურობი,



### შ ა ლ ვ ა შ ა რ ა შ ი ქ ი

ეს არის მეტად სამწუხარო ამბავი მივიღეთ ჩვენს მრავალტანჯულ სამშობლო ქვეყნიდან: თბილისში მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გადაცვლილა ქართული ლიტერატურაში «თაგუნა»-ს ფსევდონიმით ცნობილი. იშვიათი ნიჭის იუმორისტი შალვა შარაშიძე.

სხვადასხვა ადვილად გასაგებ მიზეზების გამო უცხოეთში გადმოხვეწილთ არ გვაქვს საშვალება სათანადო სისრულით დავახასიათოთ განსვენებულის ნიჭი და აღვნიშნოთ ის ღვაწლი, რომელიც მან ჩვენს ლიტერატურას დასდო. ამიტომ იძულებული ვართ დაგვამყაროთ მისი მოკლე ბიოგრაფიული ცნობების და ორიოდ ღირსშესანიშნავი ფაქტის მოყვანით.

შალვა დაიბადა 1881 წელს სოფ. ბახვში გურიაში კარგად ცნობილ სოფლის მასწავლებლის გიგო შარაშიძის ოჯახში. საშუალო განათლება მიიღო ქუთაისის გიმნაზიაში, რომლის დასრულების შემდეგ გაემგზავრა უმაღლეს სასწავლებელში, რუსეთში.

ლიტერატურული მოღვაწეობა შალვამ ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს დაიწყო სტუდენტთა ხელნაწერ ჟურნალებში, ხოლო 1905 წელში გააკეთა პირველი საჯარო გამოსვლა კვირეულ ჟურნალ «მოგზაურში», რომელიც იმ უამარვად გადავიდა მესამე დესელების ხელში. მან დაბეჭდა იუმორისტული ფელეტონი, რომელშიაც აღწერა ერთი თავისი თავგადასავალი. მისი ფსევდონიმიც—«თაგუნა»—ამ დღიდან იწყებს თავის ისტორიას. დიდის ნიჭით დაწერილ პატარა ფელეტონმა იმ თავითვე მიიქცია მკითხველის ყურადღება. იმ დღიდან მოკიდებული იგი სწერს სხვადასხვა სოციალდემოკრატიულ ჟურნალებში და მალე ხდება მუდმივი თანამშრომელი, ხოლო შემდეგ კი ერთი რედაქტორთაგანი მისი სიყრმის მეგობრის ნ. კალანდაძის («ეშმაკი») მიერ დაარსებულ «ეშმაკის მათრახი»-სა.

ქართულ სატირას დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ პოლიტიკური და საზოგადოებრივი ხასიათის თანამედროვე ქართული სატირის ერთ-ერთ მთავარ წარმომადგენლათ «თაგუნა» უნდა ჩაითვალოს. ვინ არ იცის, რომ ჟურნალი «ეშმაკის მათრახი» გადაიქცა ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკური სატირის უშესანიშნავეს ორგანოდ. დიდი და პატარა, მტერი და მოყვარე, ყველა მოუთმენლად მოელოდა «ეშმაკის მათრახის» მორგე ნომრის გამოსვლას. მისი მკითხველი იყო როგორც ინტელიგენცია, ისე ქალაქის მუშა და სოფლის გლეხი. «ეშმაკის მათრახს» შეხვდებოდით საქართველოს ყველა მივარდნილ კუთხეებში; «ეშმაკსა» და «თაგუნას» იცნობდა ყველა ქართული ანბანისა და წერა-კითხვის მცოდნე ქართველი.

ნიჭით აღსავსე და მრავალმხრივია იუმორისტ «თაგუნას» მოღვაწეობა; მან დიდი წვლილი შეიტანა ქართულ ლიტერატურის ამ განსაკუთრებულ დარგში და კიდევ უფრო მეტსაც შეიტანდა, რომ მისი მოღვაწეობა უხეშად და უწყალოდ არ შეწყვიტა ჯერ

ჩვენი ქვეყნის დამპყრობთ და შემდეგ უდროო სიკვდილს.

დაპყრობილ საქართველოს ხელისუფლებამ არც მწერლობა დაინდო და დამკვიდრების პირველ დღიდანვე განსაკუთრებული ველურობით შეუდგა ქართული მწერლობის გაათხსირებას. ამ მიზნით ბოლშევიკებმა ფართოდ გამოიყენეს როგორც უმაგალითო ტერორი, ფიზიკური და ზნეობრივი, ისე უნამუსო მოსყიდვა. ბევრი ქართველი პატრიოტი მწერალი მოიშალა და ვატყდა. ეს გაათხსირება აღწერილია «ბრძ. ხმის»-თვის (№ 43) საქართველოდან მოწოდებულ წერილში, რომლის უნებლიე ნაკლად მხოლოდ ის უნდა ჩაითვალოს, რომ მის ავტორს არ შეეძლო დაესახელებია ის ორიოდ, თითებზე ჩამოსათვალი ჩვენი მწერლები, რომლებმაც ყოველგვარი დამცირება და გაჟივრება აიტანეს, სიკვდილსაც კი არ შეუშინდენ, მაგრამ ქართველი მწერლის ღირსეული სახელი უმწიკვლოდ შეინახეს და ეროვნული ლიტერატურის საამაყო დროშა კომუნისტურ წუმპეში არ ამოსვარეს.

ამ უკანასკნელთა რიცხვს ეკუთნოდა განსვენებული შალვაც. მოსკოვის ქართველი აგენტები დიდად მოსურნენი იყვნენ ამა თუ იმ გზით გადაებირებით ჩვენი ნიჭიერი იუმორისტი. მათ ხომ სიცილი არ ეხერხებოთ, ჯალათის «იუმორი» მხეცური დმეჭაა, ისიც მოსკოვითაგან გადმოღებული. რა ძვირფასი იქნებოდა მათთვის «თაგუნასანა» მწერლის «მიმზრობა», მისი მკვეთრი კალმის საქართველოს სატრაპების სადიდებლათ ამუშავება! მაგრამ შალვას მტკიცე სულია და მაღალი ზნეობის წინააღმდეგ ვერაფერს გახდენ. არც ერთი, ოდნავი კომპრომისიც კი, მას მტრისთვის არ გაუქვებია ამ საშინელ 13 წლის განმავლობაში.

ვერც ტერორმა გასჭრა. იგი რამდენჯერმე იყო დატუსაღებული. 1924 წლის აჯანყების დღეებში ავთიმყოფი ექიმობას მოსწყვიტეს და ბორჯომიდან თბილისის ჩეკის სარდაფში გადმოსახლეს. მისი თვალის წინ გაყავდათ საქართველოს საუკეთესო მამულიშვილი და ბრალისა და დანაშაულობის განუკითხავათ ასობით ხოცავდნენ. ამ საშინელ სანახაობის მოწამე ციხიდან წაიყვანეს ცხვრის ფარასავით ყოველ მხრიდან მორეკილ ქართველ მწერალთა კრებაზე; იქ მოასმენიეს ჯალათ კახიანის «მოხსენება» აჯანყებაზე და სხვებთან ერთად მასაც მოსთხოვეს ხელი მოეწერა უცხოეთის მონატყუებლათ გამზადებულ რეზოლიუციას, რომელშიაც ქართველი ერის თავგანწირული აჯანყება მღვდლებისა და თავდაზნაურობის კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლებად იყო გამოცხადებული. სამშობლოს სიყვარულმა და მამულიშვილისა და მწერლის ღირსებამ აქაც სძლია შიშს და შალვა იმ ორიოდეთაგანი იყო, რომლებმაც არ მოისურვეს თავისი ხელის მოწერით დაეფარათ ოკუპანტების უმაგალითო დანაშაული. როდესაც ჰკითხეს, რატომ არ აწერ ხელსო, უპასუხა: ვაქაცობათ ნუ ჩამომართმევთ; სიცოცხლე ძალიან მიყვარს და სიკვდილის მეშინია, მაგრამ აი ეს ჩემი მარჯვენა არ შვრება, რაც გინდა მიქენით, ხელ «ვერ მოვაწერ»-ო. და არც მოაწერა.



დახვრეტას გადაურჩა, რამდენიმე თვეში გამო-  
უშვეს კიდევ... გავიდა რამდენიმე ხანი, შალვამ სცა-  
და და რალაც სასწაულით მოახერხა კიდევ თავის  
პატარა წიგნაკის, «თამარ ცბიერის» დაბეჭდვა, რა-  
ცა წარმოადგენდა მწარე სატირას «ყოფილ მენშე-  
ვიკების» ცნობილ «განცხადებების» საშუალებით  
საქართველოში დაბრუნებაზე. სატირა ისე მოხერ-  
ხებულათ იყო შედგენილი, რომ ცენზორს გამოეპა-  
რა მისი ნამდვილი აზრი და ბოლშევიკებმა მხოლოდ  
წიგნაკის გამოსვლის რამდენიმე დღის შემდეგ მია-  
შურეს წიგნის მალახიებს. მაგრამ «თამარ ცბიერი»  
უკვე სავსებით გაყიდული იყო. კახიანებმა ასტე-  
ხეს განვაში კრებებზე «ცბიერ და გაუსწორებელ  
კონტრევოლიუციონერზე», რაიცა დასრულდა ჩვენი  
იუმორისტის მწერალთა კავშირიდან გამორიცხვით  
და მის «ლიშენცათ» გამოცხადებით. ავადმყოფ კაცს  
პურის მიღების უფლებაც კი აართვეს. ვერ აართვეს  
მხოლოდ მწერლის ნამუსი და ადამიანის ღირსება,  
თავისი ერის სიყვარული ვერ ამოუშრეს გაწამებულ  
გულიდან.

წავიდა და თან წაიღო, სამარეში ჩაიტანა ადამი-  
ანის დამამშვენებელი და გამაკეთილშობლებელი  
ეს დიადი ღირსებები. ჩვენ კი სამაგალითოდ დაგვრ-  
ჩა მისი სულის და პატრიოტულ ნებისყოფის გასაო-  
ცარი სიმტკიცე.

მოვა დრო და განთავისუფლებული ქართველი  
ერი სათანადოთ დააფასებს მის ღირსეულს უდრო-  
ოდ დაკარგულ შვილს.

ბ. არიქე.

**უცხოეთის მიმოხილვა.**

**არაბეთი.**

არაბეთის ნახევარ-კუნძულზედ ომმა იფეთქა მო-  
ულოდნელათ და მსოფლიო პრესამაც დიდი ყურად-  
ღება მიაქცია მას. ესლა ხომ ერთგვარ ტრაფარეტად  
იქცა ის, რომ, საკმარისია ერთ რომელსამე კუთხე-  
ში დაინთოს ცეცხლი, ის მაშინვე მოედოს მთელს  
ქვეყნიერებასო. წითელი ზღვის გასწვრივ, პორტსაი-  
ლიდან აღენამდე, აღმოსავლეთის ანუ აზიის ნაპი-  
რებზედ სდევს ჰედჯას და იემენის სამეფონი, ხოლო  
დასავლეთის ანუ აფრიკის ნაპირებზედ—ეგვიპტე და  
ერიტრეე, პირველი ინგლისის სუზერენობის ქვეშ  
და მეორე იტალიის სამფლობელო. ჰედჯას მეფემ  
იბნ სეუდმა ომი გამოუცხადა იემენის მეფეს იაჰიას  
იმის გამო, რომ პირველის მიერ მათ შუა სამთავ-  
როს ასირის ალების შემდეგ იქაურმა მთავარმა თა-  
ვი მეორეს შეაფარა და უკანასკნელმა არ გასცა ის.  
ომი მიმდინარეობდა იბნ სეუდის გამარჯვებით და  
მისმა შვილმა აილო ნავთსადგური ჰოდეიდა და იე-  
მენის სატახტო ქალაქს სანას უახლოვდებოდა. მაგ-  
რამ მოხდა «მეგობრული მოლაპარაკება» ლონდონ-  
ში ინგლისსა და იტალიას შორის და დროებითი ზა-  
ვი ჩამოვარდა. ამ რიგათ, არაბთა ორი მეფე ერთმა-  
ნეთს წაეკიდენ, ხოლო ლონდონის საგარეო სამინის-

ტროში უბრალო დარბაზობამ, ალბათ «ფაიფ-ოკლო-  
კხედ», დავა გადასურა!

მეფე იბნ სეუდი, კარგა ხანია, ინგლისის ფალა-  
ვანდია და ჰყავს მრჩეველად ბრიტანეთის პოლკოვ-  
ნიკი ფილბი. ინგლისს ჰკუთხე არ უჯდა, რა თქმა  
უნდა, ჰოდეიდას დიდ ნავთსადგურად ქცევა, რაიცა  
დიდ ზარალს აყენებდა მის დიდ ნავთსადგურს ადენს,  
ინდოეთის ოკეანის შესართავთან. მაგრამ მეფე ია-  
ჰიას სურგს უკან ხომ იტალია იდგა, ან უკეთ მისი  
სამფლობელო ერიტრეე, მან გაუშენა ნავთსადგური  
და იარალიც მისცა. რად შეჩერდა ომი?

იტალიის სურვილი ზავისათვის თავის თავათ  
ცხადია მას შემდეგ, რაც მისი ფალავანდი იაჰია სუ-  
სტი გამოდგა და იემენი განსაცდელში ჩავარდა, ის  
ჰკარგავდა იმ პატარა გავლენის სფეროსაც, რაც  
აზიის ერთ კუნძულში მოეპოებოდა. სულ სხვაა დი-  
დი ბრიტანეთის მდგომარეობა: მართალია, მიხანი  
მიღწეული იყო, ჰოდეიდა ხელში ჩაიგდო იბნ სეუდ-  
მა, მაგრამ ის ამას არ დასჯერდა და მთლიან იემენის  
აღება მოინდომა. აქ კი ცხადია თავი წამოიყუ პანა-  
რაბიზმმა!

დიდი ომის დროს ინგლისმა დიდათ გამოიყენა  
არაბეთი, რომელიც გადაუდგა ოსმალეთს და მთლიან  
ჩამოშორდა მას. მაშინ ამ ამბების სულის ჩამდგმე-  
ლი იყო დიდი ბრიტანეთის საზღაპროთ ქცეული  
პოლკოვნიკი ლოურენსი. სწორეთ მან გამოიყვანა  
ასპარეზზე მოხუცი მეფე ზუსეინ, მემკვიდრე ხონ-  
ქრებისა მექა და მედინაში. მისი ორი შვილი გამეფ-  
დენ ერთი ირაქში (ბაღდადი), მეორე იორდანის ქვე-  
ით. მაგრამ ჩქარა გამოჩნდა ზუსეინის მეტოქე იბნ  
სეუდი, ვაჰაბიტების მეთაური გეჯაში, და ესლა ეს  
გაიხადა ინგლისმა თავის ფალავანდად. რატომ? იმი-  
ტომ, რომ ზუსეინი და მისი ორი შვილი ერთ დინა-  
სტიას შექმნიდენ და მით არაბეთიც გაერთიანდე-  
ბოდა!

იგივე მიდრეკილება დაეტყო იბნ სეუდსაც: იმე-  
ნის დაპყრობა დასაწყისი იქნებოდა ირაქის დაპყრო-  
ბისა, აქედან ჩრდილოეთშიც ხომ პალესტინეა, სი-  
რია და ვინ იცის კიდევ რა. სუეცი? ეს ხომ გზაა ინ-  
დოეთისაკენ. ერთი სიტყვით, იბნ სეუდი დიდ ხი-  
ფათს უმზადებდა დიდ ბრიტანეთს. ვაჰაბიტები, მა-  
ჰმადიანთა «პუსიტანები», არ მალავენ სულაც თავის  
ზრახვებს: ერთი მთლიანი არაბეთი და მისი ბატონი  
მექა-მედინას მფლობელი!

**ლატვია.**

კიდევ ერთი გადატრიალება! და ეს ლატვიაში,  
ბალტიის ერთ პატარა რესპუბლიკაში, რომელიც,  
დიდი ხანი არაა, რუსეთის იმპერიას ჩამოშორდა, და  
მით უფრო საინტერესოა ჩვენთვის. ანალოგია თით-  
ქო ცხადია ავსტრიის ამბებთან: ულმანისის მთავ-  
რობამ ორ ფრონტზედ დაჰკრა, მარჯვნივ გერმანულ  
უმცირესობას, ყოფილ ბარონებს და ლეგიონერებს,  
მარცხნივ სოციალდემოკრატებს. უკანასკნელნი  
ძლიერ პარტიას წარმოადგენდენ, დიდი მონაწილეო-  
ბა მიიღეს რესპუბლიკის შექმნაში, მართველობაში.  
ესლაც სწორეთ ერთი მათგანი დააპატიმრეს ყველა-

ზე წინ, პარლამენტის თავმჯდომარე! აღვეთეს მათი ორგანიზაცია, პრესა და სხ. პარლამენტი დაითხოვეს და ულმანისი ქვეყანას დემოკრატიის ერთგულობაში ეფიცება!

უშუალო მიზეზი გადატრიალებისა საკონსტიტუციო დავა იყო. ღონიერ გლეხთა მთავრობა მოითხოვდა აღმასრულებელ ხელისუფლების გაძლიერებას, ხოლო ეს შეუძლებელი გახდა კონსტიტუციის დაურღვეველათ; საჭირო იყო რეფერენდუმი, ხოლო ხალხის მიმხრობა საეჭვო გახდა. სოციალდემოკრატია იმუქრებოდა საყოველთაო გაფიცვით, ულმანი სმა სწორეთ ეს მუქარა გამოიყენა, ამბობს კიდევ, თუმცა დემოკრატიულ წყობილებაში საყოველთაო გაფიცვა თითქო ერთად ერთი ლეგალური საშუალებაა მოკვრებისთვის.

მაგრამ არის უფრო ღრმა მიზეზებიც: ეკონომიური კრიზისი და სამეურნეო საქონლის ექსპორტის ძალზე შეკუმშვა; მეორეს მხრით შიში გერმანიის აღმოსავლეთისკენ ექსპანსიის მსხვერპლად არ გამხდარიყო. საჭიროა სამი რესპუბლიკის: ლატვიის, ესტონიის და ლიტვის ბლოკი, ხოლო ამის შესაქრავათ ძლიერი ხელისუფლება არის საჭირო—ამბობენ დიქტატურის მომხრენი.—თუმცა სოციალდემოკრატია სწორეთ ამ საერთო ფრონტის სულისჩამდგმელი იყო თავიდანვე.

ჯერ არ ვიცით, რით გათავდება ეს დავა, გადატრიალება უსისხლოთ მოხდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის უსისხლოთ დამთავრდება. ერთ ხალას ჭეშმარიტებას მაინც გვერდს ვერ აუვლით: ლატვიის მუშებმა და გლეხებმა ვერ შეკრეს ერთი სამართო კავშირი გარეშე და შინაურ გაჭირვების დასაძლევათ, მათი პარტიები ვერ აღმოჩნდნენ მომენტის სიმალღეზედ. ესტონიაც ჩავარდა ამას წინათ განსაცდელში, მოიგერია გადატრიალება მარჯვნიდან, და დემოკრატიული წესწყობილებაც ძალაში დაჩა.

წერილი ამერიკიდან

ორი ამერიკელის ახრი რუსეთის მდგომარეობაზე.

ამ სტრიქონების დამწერს შემთხვევა ჰქონდა მოესმინა ორი ლექტორი რუსეთის შესახებ სხვა და სხვა დროს და სხვადასხვა მსმენელების წინაშე. ორივე პიროვნების ბიოგრაფიას მოზრდილი ადგილი უკა ამერიკის ენციკლოპედიაში: «ვინ რა არის ამერიკაში».

ერთი იყო პოლკოვნიკი რეიმონდი რომინსი,—საზოგადო მოღვაწე, ლიდერი სხვადასხვა რელიგიურ დაწესებულებებისა; 1917 და 1918 წლ. იგი იყო რუსეთში გაგზავნილ ამერიკის წითელი ჯვრის მისიის წევრი. მეორეჯერ მან იმგზავრა რუსეთში 1932 წელს, სადაც ორი თვე დაყო. იქედან დაბრუნების შემდეგ მან გვიამბო თავის შთაბეჭდილებანი. ეს ის რომინსია, რომელმაც ლიტვინოვისთვის ნიუორკში გამართულ ბანკეტზე სიტყვა წარმოსთქვა და ტაიმისის მოსკოვის კორესპონდენტი ვოლტერი დურანტი

წარუდგინა საზოგადოებას, როგორც «ერთ ერთ ქვეყნის უდიდესი კორესპონდენტი».

მეორე მომხსენებელი იყო დოქტორი ვილ დურანტი. «დამოუკიდებელი საქართველო»ს 92 ნომერში ჩვენ მოვიყვანეთ მოკლე შინაარსი მისი წერილების რომლებიც დაიბეჭდა ეურნალ «სათარტი ივინგ ხოსტ»-ში. დოქტორი დურანტი იყო რუსეთში 1912 წელში იქაურ მდგომარეობის შესასწავლად; მეორედ წავიდა 1932 წელში.

ორივე ლექტორი მშვენიერი ორატორებია. ორივეს ყავდა დიდი აუდიტორია. ჩვენ ვეცდებით სრულის ობიექტივობით გადავსცეთ მკითხველს ორივე მოხსენების შინაარსი.

პოლკოვნიკი რომინსის ახრით რუსეთის ბოლშევიკური მთავრობა ემყარებამთელ ხალხზე, მის ნებისყოფაზე.

დოქტორ დურანტის ახრით ბოლშევიკური მთავრობა არის ტირანია. ის იმორჩილებს ხალხს ძალით, ხიშტით, ტერორით და არ არის გამომხატველი ხალხის ნებისა და სულისკვეთებისა.

თავის სიტყვაში რომინსმა ჯერ დაახასიათა ძველი უფარგისი რეჟიმი თავის ფეოდალური წესწყობილებით. «შვიდი პროცენტი რუსეთის ხალხისა იყო პრივილეგიური კლასი, რომელსაც ეკუთნოდა თითქმის მთელი სიმდიდრე და რომელიც ფუფუნებაში ატარებდა დროს». შემდეგ მან აღწერა თუ როგორ პირობებში მოუხდა მას მუშაობა რუსეთში და რა ძნელი იყო კერენსკის მთავრობის დროს მატარებლის შოვნა და სურსათის გადატანა. ეს იყო ლექტორის ახრით სისუსტე იმ მთავრობისა, რომელსაც ნიდაგი არ ქონდა ხალხში. სულ სხვა არის ბოლშევიკური მთავრობა რომელიც ემყარება მთელი მასის სურვილზე. მან დაიქო რომ უკანასკნელი მისი მოგზაურობის დროს მას ქონდა მმართველობის სათავეში მდგომ ბოლშევიკების ნებართვა და რეკომენდაცია სხვა და სხვა დაწესებულებების სანახავად. მისი რუსეთში ყოფნის დროს მას უნახავს ბევრი ქარხანა-ფაბრიკები, სხვა და სხვა დაწესებულებები და მიუღია ცნობები თვით დირექტორების და გამგეებისგან. მათთან ლაპარაკობდა, რასაკვირველია, მთავრობის მიცემულ თარჯიმანის საშუალებით (ერთჯერ არ წამოცდენია, რომ ელაპარაკა მუშასთან ან გლეხთან). სხვათა შორის მან გაიცნო თურმე ერთი ფესხაცმელის ქარხნის დირექტორი რომელსაც წელიწად ნახევარი ქონია გატარებული გამასწორებელ რაზმში ოთხი კაცის მოკვლისთვის; ახლა კი წარჩინებული დირექტორი ყოფილა. «ასე რომ ბოლშევიკები კი არ სჯიან დამნაშავეთ, მხოლოდ ასწორებენ შემცდარებებსო», დასკვნა ორატორმა. მოხსენებას მოყვა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ამ სტრიქონის დამწერმა და რამდენიმე შეკითხვა მისცა.

1 შეკითხვა: გამოდის თუ არა იმ «თავისუფალ ქვეყანაში» თუნდაც ერთი არაბოლშევიკური განხეთი?

პასუხი:—არა.  
2 კითხვა: არის თუ იქ თავისუფლება კრებისა და სიტყვის?

საქართველოს  
საზოგადოებრივი  
მემორიალი

პასუხი—არა, რადგან იქ მთავრობა ომს აწარმოებს (არ უთქვამს ვისთან).

3 კითხვა: არის თუ არა პური და სხვა სურსათისთვის წიგნაკები და თუ არის რატომ?

პასუხი—არის, რადგან სურსათის ნაკლებობაა, რადგან სასურსათო საგნები ვალიუტისთვის საზღვარ გარეთ გააქვთ.

4 კითხვა: შეიძლება თუ არა თავისუფლად შესვლა და გამოსვლა იქიდან?

პასუხი—გააჩნია პიროვნებას.

5 კითხვა: რა არის კოლექტივიზაცია და თუ ურჩევთ თქვენს მთავრობას ამერიკაშიც შემოიღოს მხგავსი რამ?

აქ ლექტორს აევსო მოთმინების ფიალა და პათეთიურად განაცხადა: «ყველაფერი რაც არის რუსეთში, ეგუება მხოლოდ რუსის ხალხს, ამერიკისათვის კი იგი არ ვარგა. ნუ დაგავიწყდებათ, რომ რუსის ხალხის საცხოვრებელი სტანდარტი ძალიან დაბალია და მისი მოთხოვნილება ვერ შეედრება ამერიკის ხალხის მოთხოვნილებას. რაც იქ კარგია, ამერიკაში არ ვარგა» და დაუმატა: «იციით თუ არა, რომ საბჭოების ქვეყანაში ერთი ოპოზიციონერი ორგანიზაცია არ არის? ეს იმას ნიშნავს, რომ მთელი ხალხი კმაყოფილია».

ამაზე ამ სტრიქონის დამწერმა უპასუხა: «თქვენ ცოტა გინახავთ რუსეთში; ეს არ ნიშნავს ხალხის კმაყოფილებას. არამედ იმას, რომ დესპოტიური ხელისუფლების მიერ სასტიკად აკრძალულია რაიმე ოპოზიციონერი ორგანიზაციის არსებობა».

დოქტორ ვილ დურანტის მოხსენების სათაური იყო: «ამერიკა და რუსეთი». მან ვრცლად დაახასიათა კაპიტალისტურ წესწყობილების უკუღმართობა საერთოდ და განსაკუთრებით ამერიკაში. კაპიტალისტური წესწყობილება არ აკმაყოფილებს კაცობრიობას და ექვს გარეშეა, რომ მომავალში იგი უკეთესით უნდა შეიცვალოს. მან დაახასიათა კაპიტალიზმი, როგორც ისეთი წესი, რომლის წყალობით სიმდიდრე გრავდება ვიწრო წრის ხელში და ხდება უმცირესობის უმრავლესობაზე გადატონების იარაღად. მიზანშეწონილი იქნებოდა ქარხნები, ფაბრიკები, მადნეულობა, ტრანსპორტი და სხვა საზოგადოების ხელში ყოფილიყო. მაგრამ ადამიანის ბუნებაში ჩანერგილია წყურვილი თავის «მე»-ს წინ წამოწევის, მისი ოჯახის განმტკიცების ფიზიკურად და ქონებრივად. ეს კი ყოველად შეუძლებელია, ინდივიდუალურ ქონების უქონლად. თუნდაც პატარა, მაგრამ საკუთრება არის იმპულსის მიმცემი, ენერჯის ჩამდგმელი და პროგრესის თავდები.

დოქტორი დურანტი, როგორც მეცნიერი და უპარტიო, გულმოდგინეთ და სრულის ობიექტივობით სწავლობდა «ახალი რუსეთის» ყოველ ნაბიჯს. ის არამც თუ წინააღმდეგი არ იყო ბოლშევიკების, პირიქით დიდის იმედით შეცქეროდა მათ ექსპერიმენტებს და მისგან მოელოდა პოლიტიკურ და ეკონომიურ კრიზისის ჩიხში მოქცეულ კაცობრიობის ხსნას. ამ იმედებით დოქტორი დურანტი 1932 წელს

ესტუმრა რუსეთს, სადაც მას 1912 წელშიც უმგზავრია. ძველი და ახალი რუსეთის შედარებას ერთვად გაუქრია მისი იმედები. მისი მოწმობით ახალი რუსეთის საოცარ და სასტიკ ტერორისტულ რეჟიმს «რუსის ხალხი, საერთოდ მხიარული და გულახდილი მოსაუბრე—დაუმუხჯებია. რუსეთი გამძაბარა ცოცხლების სასაფლად. ერთმანეთისადმი უნდობლობის გამო ყველგან შიში, ყველგან სიჩუმეა. ძმა ძმას არ ნდობს, დედა შვილს. გეპეუს ბრწყალებში მყოფი პიროვნება იძულებულია გასცეს, დააბეზლოს მტყუანი და მართალი. ეს საჭიროა მთავრობისთვის, რომ ხალხი შიშით იყოს შეპყრობილი და ვერ ბედავდეს უკმაყოფილების გამოცხადებას. ჩვენ—უცხოელებიც—გაგვაფრთხილეს, რომ თავისუფლად ჩვენს აზრი არ გამოგვეთქვა და ამით ჩვენთან მოსაუბრენი ხიფათში არ გავგებო».

ლექტორი შეეხრა რუსეთში მყოფ საზღვარ გარეთელ კორესპონდენტებსაც და განაცხადა, რომ თითქმის არაფერ არ ამბობს სიმართლეს, რადგან ეშინიათ სიმართლის თქმით, ხიფათში არ გაიბან თავი. «აქლეთ, მაგალითად, ნიუორის ტიმიის მოსკოვში მყოფი კორესპონდენტი ვოლტერ დურანტი; გითხრათ მან ოდესმე რუსეთზე სიმართლეთა? განა გაუწყათ რაიმე მის მიერ მოწერილ კორესპონდენციებში დონბასის გაფიცვის შესახებ?—როცა დონბასის მალაროებში მცირე ხელფასის და აუტანელ მდგომარეობის გამო 150.000 მუშა გაიფიცა; საბჭოების მთავრობამ მათ ადგილას ქალები ჩააყენა, მიუხედავად იმისა, რომ თვით საბჭოების კანონით აკრძალულია ქალების მალაროებში მუშაობა, და ამით მუშების გაფიცვა გასტენა! ვოლტერ დურანტიმ აგრეთვე კარგად იცოდა, მაგრამ ვერაფერი დაწერა უკრაინელთა შორის სასტიკ შიმშილობაზე. მხოლოდ ერთი წლის მერე, როცა სხვებმა მას მიუთითეს, მან მორცხვად აღიარა—სურსათის ნაკლებობა იყო».

«აუტანელია გლენობის მდგომარეობა», განაცხადა ლექტორმა. მომხსენებელს უცხოვრია მდგომარეობის შესასწავლად რუსის და უკრაინელ გლეხების ქალებში. «მთელი რუსეთის გლენობა შიმშილობს და მანც არ აქვს სურვილი იმუშაოს და თავი დააღწიოს ამ შიმშილობას; გლენობას ამუშავებენ მთავრობის ავეტები ძალით, ტერორის ქვეშ, მაგრამ ცნობილია, რომ იძულებითი მუშაობა ვერ მოიტანს სასურველ შედეგებს. განსაკუთრებით მეურნეობის დარგში. მუყაითს და დაწინაურებულ გლენს, თუ კი ვინმე კიდევ დარჩა ასეთი, ეშინია მეტი არ მოუყიდეს და საზღვარს არ გადასცდეს, საქონლის მოშენებაში, რიგინად ჩაცმაში და თავის მდგომარეობის გაუმჯობესებაში, რომ ამით თავზე რისხვა არ დაიტენოს. გლენს აო უნდა, რომ მისმა ძროხამ ხბო მოიგოს, ცხენმა ფაშატი, ან ღორმა გოჭები, ვინაიდან ეგ მეტად საშიშია: ამდენ პირუტყვის მყოფე გლენს კულაკად გამოაცხადებენ, ყველაფერს წაართმევენ და თვითონ გადააგზავნიან იძულებითი სამუშაოზე»...

«აქედან წავედი «ახალი ქვეყნის» ენტუზიასტი, იქიდან კი დავბრუნდი ოცნება დამსხვრეულით. რა-

ცა რუსეთის ეკლიან მავთულებით და ყარაულებით შემოჩხულ სახლვარს ვტოვებდი (რომლის დახწევის განზრახვაში არა ერთი გამოეცალა წუთისოდღე-ღის), პოლონელ მოხელეს შევეკითხე.—თუ ყოფილა შემთხვევა რომ ვინმეს ქონდეს განზრახვა აქედან რუსეთში შეპარვის იქ მოწყობის და საცხოვრებლათ დარჩენის მიზნით? პოლონელმა გაკვირვებულად შემომხედა; მან უთუოდ ან გიყათ ჩამთვალა ან ჩემი შეკითხვა დაცინვით მიიღო, დაასკვნა ლექტორმა.

ნაუთი.

26 მაისის ღვინისწავალი

1934 წლის მაისის 26-ს, ოტელ ემპერიალში, სენ კლუ, პლას ჟორჟ კლემანსო. გაიმართება ზეიმი საქართველოს დამოუკიდებლობის წლისთავის აღსანიშნავად.

საზეიმო სიტყვას წარმოასთქვამს ბნი გ. ყურული. იქნება სიმღერები, ლექსები, ცოცხალი სურათები, ქართული და ევროპული ცეკვა.

ზეიმი დაიწყება დღის სამ საათზე.

მიმოსვლისათვის: მეტრო პორტ დე სენ-კლუ. შემდეგ ტრამვაი 2, 18. — 25, 75. ოტობუსი: ბპ, ბო. რკინის გზა—სენ ლაზარიდან და ენვალიდიდან.

ძარტველ ინჟინერთა და ტექ. ასოციაცია

6 მაის, 1934 წ. პარიზში შესდგა ქართველ ინჟინერთა და ტექნიკოსთა საზოგადო კრება. ბ. იოს. გობეჩიამ მოახსენა დამსწრეთ კრების მოწვევის მიზანი, ყრილობამ თავის თავი გამოაცხადა დამაარსებლად «ქართველ ინჟინერთა ასოციაციის პარიზში». ასოციაცია ისახავს შემდეგ მიზანს:

- 1) პროფესიონალური შეკავშირება უცხოეთში მყოფ ქართველ ინჟინერთა და იმ პირთა, რომელნიც თავიანთ პროფესიით არიან ტექნიკოსები.
- 2) შესწავლა სხვადასხვა მეცნიერულ და პრაქტიკულ-ტექნიკურ კითხვებისა.
- 3) შესწავლა ტექნიკურ და ინდუსტრიალურ განვითარებისა საქართველოში.
- 4) შესწავლა საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეების ინდუსტრიალურ ექსპლოატაციის შესაძლებლობათა.
- 5) დახმარების აღმოჩენა თავის წევრებისათვის სამუშაოს შოვნაში.
- 6) გამოცემა ტექნიკურ-პერიოდულ ორგანოსი და წიგნთსაცავის დაარსება.
- 7) დაახლოვება და ურთიერთობის შექმნა სხვა და სხვა მსგავს უცხოელ საზოგადოებებთან.

შემდეგ კრებამ განიხილა და მიიღო ასოციაციის სტატუტი. ამ სტატუტის რეგისტრაციასი გატარება დაევალა ამავე კრებაზე არჩეულ გამგეობას, რომელშიაც შედიან: ბ. იოს. გობეჩია (თავმჯდომარე), ბ. არჩილ ზურაბიშვილი (მდივანი) და ბ. აპოლონ კობახიძე (მოლარე). ამით კანდიდატებთ იქნენ არჩეულნი: ბ. გიორგი ნოზაძე და კონსტანტინე ყურული, ხალხო სარევიზიო კომისიასი ბ. სიმონ ციციშვილი და ტარასი წულაძე.

ასოციაციის გამგეობას დაევალა საინფორმაციო ბიუროს მოწყობა, რომელიც რჩევას მისცემს იმ ახალგაზდებს, რომელთაც სურთ საინჟინერო და სატექნიკო დარგში სწავლა-განათლების მიღება.

დაბოლოს კრებამ სთხოვა ბ. იოს. დადიანს, როგორც ახლად დაარსებულ ასოციაციის უზუცეს წევრს, გააკეთოს პირველი მოხსენება ასოციაციის წევრების და მათ მიერ მოწვეულ სტუმრების სხდომასზე.

ამ მოხსენების მოწყობა უახლოეს დროში დაევალა გამგეობას.

ასოციაციის წევრობის მსურველთ შეუძლიათ მიმართონ ასოციაციის გამგეობის მდივანს შემდეგი მისამართით:

M-r Zourabichvili Achille  
29, rue des Belles-Feuilles 29. Paris (16).  
Teleph. Vaugirard 34-42.

კვირას 3 ივნისს ნაშუადღევს 3 საათზე «ლხივიტე დე სავან» ის ბინასზე, დარბაზი D  
28, rue Serpente 28. მეტრო ოდეონ.  
ს. ფ ი რ ც ხ ა ლ ა ვ ა  
გააკეთებს საჯარო მღვსენებას  
ამგავთა და საჭმითა მოლოდინში.  
ხარჯების დასაფარავად გადასახადია 2 ფრ.

დაიბეჭდა და იყიდება  
ორი ახალი ქართული წიგნი:  
1. ოცდაექვსი მაისი, ვლასა მგელაძისა.  
2. ისტორიული ღანდები, ს. ფირცხალავასი.  
დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით:  
M-r D. Khéladzé  
50, rue Fobourg du Temple 50.  
Paris (11)